ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



№ 087 (12 462) 14 აპრილი ორშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი



## კიდევ ორი ბრინჯაო ლისაბონიდან

ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი

»»» 2

## მილანი და რონალდინიო გადაწყვეტილია

მაგრამ ინტერი?

»»» 16



## ფაჩულია თანაგუნდელს ეჩხუბა

ქართველი NBA-ში

»»» 8

# მარჯი საქართველოს!

## ქართული ცეცხლი რუსულ ყინულზე

კრასნოიარსკში ბრწყინვალე გამარჯვებით ქართველმა მორაგბეებმა 2001 წლის შემდეგ ევროპის ერთა თასი კვლავ თბილისში დააბრუნეს

»»» 8






## მანჩესტერი, რეალი, ბაიერნი, ინტერი ახლოს ტრიუმფთან

ევროთასები »»» 10-14

# საჩემპიონო ნაბიჯი



გუშინ ეროვნულზე. დინამო-ამერი 2:1. მერებაშვილი მეტოქეთა გარემოცვაში. ნუგზარ სუარიძის ფოტო

საქართველოს ჩემპიონატი »»» 2-4

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზესტაფონის დანაკლისი და შევსება

## ბორჯომი-ზესტაფონი 0:2

12.04. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი
მაყურებელი

0:1 კვასხვაძე (43), 0:2 კესანი (60. კვასხვაძის პასით)

*გამოუყენებელი პენალტი:* იონანიძე (79. მეკარე)

*ბორჯომი:* სეფიაშვილი – კირთაძე, ქარქუზაშვილი, თედიაშვილი, გურული – ლომიძე (81. ბაქრაძე), ხითარიშვილი (68. ხაჩიძე), გოგიჩაიშვილი (90. გოგოლაძე), ბოლქვაძე, ნასყიდაშვილი - ჩხეტიანი

*სათადარიგო:* დათუაშვილი

*ზესტაფონი:* ჭანტურია – თოდუა, ლონლაძე, საჯაია, აკუასაგა – დაუშვილი, ონიანი, კესანი, გოცირიძე (59. იონანიძე), ნ. კვასხვაძე (72. სანტოსი) – ბიტოო (88. გელაშვილი)

*სათადარიგოები:* რ. კვასხვაძე, გელაჭეიშვილი, საცერაძე, ტორესი

*გაფრთხილება:* ბოლქვაძე (22), საჯაია (67), თედიაშვილი (79), აკუასაგა (86)

*არბიტრი:* ა კრიჟაშვილი

18. ბიტოოს მიერ კუთხურიდან მოწოდებული ბურთი ლონლაძემ თავით გადაგზავნა კარისკენ, მეკარემ იმარჯვა.

26. თოდუამ გააკეთა გამჭოლი გადაცემა საჯარიმოში, სადაც ბურთს კარიდან 8 მეტრში მდგომი დახვდა, თუმცა მისი დარტყმული კარს ასცდა.

28. დაუშვილი შორეული დარტყმა სეფიაშვილმა მოიგერია.

38. სეფიაშვილმა ამჯერად ონიანის მიერ მახვილი კუთხიდან დარტყმული მოიგერია.

43. 0:1 – ბიტოო აწვდის ბუთს კუთხურიდან, რომელსაც კვლავაც ლონლაძე გზავნის კარისკენ. ლომიძე იგერიებს კარის ხაზზე ბურთს, თუმცა კვასხვაძე დამათებაზე ყოჩალობს და ვარდნაში ხსნის ანგარიშს.

60. 0:2 – კვასხვაძემ ზუსტი გადაცემით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა კესანი, რომელსაც არ გასჭირვებია გატანა.

66. ამჯერად სეფიაშვილთან პირისპირ ონიანი აღმოჩნდა იონანიძის პასით. რონიმა მეკარე კი მოატყუა, მაგრამ კუთხე იყო იმდენად მახვილი, რომ დატყმას უკან პასის გაკეთება ამჯობინა. აქ კი უკვე მცველებმა იმარჯვეს.

74. იონანიძის დარტყმული სეფიაშვილმა მოიგერია.

79. კესანი მარჯვენა ფლანგიდან შეიჭრა საჯარიმოში და ბიტოოს გაუკეთა გადაცემა, რომლის დარტყმულიც თედიაშვილს ხელზე მოხვდა. პენალტი იონანიძემ დაარტყა, მაგრამ სეფიაშვილმა იმარჯვა და მოიგერია.

4 კაცი გვაკლდაო, მატჩის შემდეგ აღნიშნა **თემურ მახარაძემ**, მაგრამ მისი პრობლემები რა მოსატანი იყო **ხაჩიძის** პრობლემებთან – გუშინ, მოედანზე მყოფი ზოგიერთი ბორჯომელის გვარი პირველად გავიგეთ. დანაკლისთან ერთად მატებაც იყო "ზესტაფონში" – გუნდს ტრავმამოშუშებულები, **გელაშვილი** და **სანტოსი** დაუბრუნდნენ. პირველ მათგანს ფიზიკური ტრავმა არ აძლევდა აქამდე თამაშის საშუალებას, ბრაზილიელს კი სულიერი .

ორივე გუნდი თითო გამოკვეთილი ფორვარდით თამაშობდა. **ბექა გოცირიძე** მახარაძემ მარცხენა ნახევარმცველად გაამწესა. ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდისთვის "დინამოს" ფეხბურთელებით გაძლიერებულ "ბორჯომთან" თამაში ადვილი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ მასპინძელთა პრობლემებიდან გამომდინარე, სტუმრებს შეხვედრის თავისთვის სასურველი ანგარიშით დასრულება არ გასჭირვებიათ. ეგ კი არა, ანგარიშში სხვაობა მეტი იქნებოდა, **სეფიაშვილს** რომ არ ეთამაშა კარგად – არაერთხელ იხსნა გუნდი გოლისგან.

სტუმართა შორის გამოსარჩევი იყო **კვასხვაძე**, ერთხელ თავად რომ გაიტანა, მეორედ კი თანაგუნდელს გაატანინა. კარგები იყვნენ ლეგიონერებიც, თუმცა **ბიტოოს** იმ დღეს არ გაუმართლა. მეკარესთან პირისპირ გასულ **კესანის** გვერდზე **ბიტოო** მიჰყვებოდა, მაგრამ გაბონელმა თავად ისურვა საქმის მოტავება და თანამემამულისკენ არც კი გაუხედავს. არც **იონანიძემ** მისცა საშუალება ბიტოოს მის მიერვე მოპოვებული პენალტი დაერტყა და მოედანი უგოლოდ დაატოვებინა.

თუმცა ამას საერთო შედეგის მიღწევისთვის, რაც უმნიშვნელოვანესია, ხელი არ შეუშლია და "ზესტაფონი" კვლავაც განაგრძობს ბრძოლას ჩემპიონობისათვის ახლა უკვე სრული შემადგენლობით.

### მატჩის შემდეგ

**ვლადიმერ ხაჩიძე (ბორჯომი):** *"დღეს 8 კაცი გვაკლდა, ფაქტობრივად ფარმკლუბით ვითამაშეთ. ბოლო ოთხ მატჩში ფეხბურთელს გვიძევებდნენ და ახლა მთავარი იყო, მატჩი 10 კაცით არ ჩაგვემთავრებინა. იმედია, "ზესტაფონს" კიდევ შევხვდებით თასის ფინალში".*

**თემურ მახარაძე (ზესტაფონი):** *"ჩვენთვის ახლა ყველა მატჩს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, უკანდასახევი გზა არ გვაქვს. ბორჯომში თამაში ძალიან ძნელია, მით უმეტეს მაშინ, როცა 4 კაცი გაკლია. ბიჭებმა ამოცანას თავი კარგად გაართვეს და მნიშვნელოვანი 3 ქულა მოვიპოვეთ."*

**მერაბ ბრძელიძე**
ბორჯომიდან

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 21 | 19 | 0 | 2 | 53-12 | 57 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 21 | 17 | 2 | 2 | 40-10 | 53 |
| 3. ზესტაფონი | 21 | 16 | 3 | 2 | 45-11 | 51 |
| 4. ამერი | 21 | 12 | 2 | 7 | 37-23 | 38 |
| 5. ოლიმპი | 21 | 11 | 4 | 6 | 19-15 | 37 |
| 6. მესხეთი | 21 | 9 | 4 | 8 | 23-23 | 31 |
| 7. ბორჯომი | 21 | 8 | 4 | 9 | 25-26 | 28 |
| 8. მგლები | 21 | 8 | 3 | 10 | 21-22 | 27 |
| 9. სიონი | 21 | 6 | 5 | 10 | 22-30 | 23 |
| 10. სპარტაკი | 21 | 4 | 5 | 12 | 8-23 | 17 |
| 11. ლოკომოტივი | 21 | 4 | 5 | 12 | 14-26 | 17 |
| 12. მერანი | 21 | 5 | 1 | 15 | 11-39 | 16 |
| 13. ბათუმი | 21 | 4 | 3 | 14 | 12-37 | 15 |
| 14. დილა | 21 | 1 | 5 | 15 | 8-42 | 8 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| გ. მერებაშვილი (დინამო) | 12 |
| ხუციშვილი (დინამო) | 12 |
| იონანიძე (ზესტაფონი) | 8 |
| გელაშვილი (ვიტ ჯორჯია/ზესტაფონი) | 8 |
| გ. ნოდ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 8 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 7 |
| ტატანაშვილი (ამერი) | 7 |
| ჩასემი (სიონი) | 7 |

### მომდევნო ტური

| | |
|---|---|
| **18 აპრილი. პარასკევი** | |
| 16:00 | დილა-სიონი |
| 16:00 | მესხეთი-სპარტაკი |
| 16:00 | ვიტ ჯორჯია-დინამო |
| 16:00 | ზესტაფონი-მერანი |
| **19 აპრილი. შაბათი** | |
| 16:00 | ამერი-ბათუმი |
| 16:00 | ლოკომოტივი-ბორჯომი |
| 16:00 | მგლები-ოლიმპი |

# დინამო ელბაქიძის აღმართზე



ნუგზარ სუარიძის ფოტო

## დინამო-ამერი 2:1

13.04. თბილისი. ეროვნული
მაყურებელი

0:1 დიდავა (45. პენ), 1:1 ხუციშვილი (50. პენ), 2:1 ოდიკაძე (77)

*დინამო:* ოვონო - შ. კაშია, ზელიჩი, გ. კაშია, გველესიანი - სპასოევიჩი (42. ოდიკაძე), ხმალაძე, დილმელაშვილი, მერებაშვილი (90. ფირცხალავა) - ხუციშვილი (81. აკირემი), ვაწაძე

*სათადარიგოები:* ლორია, თომაშვილი, დობეში, ნერგაძე

*ამერი:* ნადირაშვილი - მემარნიშვილი, კაკაშვილი, დავითნიძე, ელბაქიძე (87. ჩიმაკაძე) - დოლიძე, დიდავა, დობროვოლსკი, დეკანოსიძე - დავითაშვილი (77. შალამბერიძე), რ. გოცირიძე (63. ტატანაშვილი)

*სათადარიგოები:* ქვაჩახია, მჭედლიშვილი, ალავიძე, მესხი

*არბიტრი:* გ. ვადაჭკორია

**2.** დავით დილმელაშვილმა ჩინებული პასი გაუჭრა გიორგი მერებაშვილს, რომელმაც გიორგი მემარნიშვილი გააცურა, კარგად დაუგორა კარის გასწვრივ მათე ვაწაძეს, ვისაც ძალიან ხელსაყრელი პოზიციიდან ბუთრი ფეხზე აეჭრა.

**12.** ვაწაძის მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებულს ვარდნაში თავით შესწვდა მიხეილ ხუციშვილი - ბურთი ოდნავ ასცდა მიზანს.

**15.** დილმელაშვილმა ოსტატურად ჩამოიცილა დენის დობროვოლსკი, კარგი პასი გაუკეთა ხუციშვილს, რომელიც თითქმის პირისპირ დარჩა "ამერის" მეკარე ლადო ნადირაშვილთან და არაზუსტად დაარტყა.

**19.** გიორგი დეკანოსიძე საჯარიმო მოედნის ხაზიდან არცთუ ძლიერი, მაგრამ ტექნიკური დარტყმით ცდილობდა გატანას - დიდიე ოვონომ ცხრიანიდან ჩამოხსნა ბურთი.

**20.** ილია სპასოევიჩის ჩაწოდება და ვაწაძის არაზუსტი თავური.

**26.** მერებაშვილმა თერამეტიოდე მეტრიდან ვერ გაასწორა მიზანი.

**34.** ვაწაძემ მახვილი კუთხიდან ნადირაშვილის ხელებს შეაწყვიტა ბურთი.

**39.** რევაზ გოცირიძემ მაღალი ბურთისთვის ბრძოლა მოუგო "დინამოს" ცენტრალურ მცველებს და დოლიძე პირისპირ გაიყვანა ოვონოსთან - ამერელთა მარჯვენაფლანგელმა ოდნავ მახვილი კუთხიდან უხეიროდ, არაზუსტად დაარტყა.

**44.** სულიკო დავითაშვილმა დოლიძეს გაუჭრა პასი, რომელმაც კარის გასწვრივ დააგორა ბურთი, გოცირიძეს თითქოს ცარიელ კარში უნდა შეეგდო, მაგრამ შოთა კაშიამ არ დაანება და კუთხურზე გადააგდო ბურთი.

**45.** 0:1 - ნაკუთხურალ ბურთს გოცირიძემ დაჰკრა თავი, ოვონომ ბურთი მოიგერია, დავითაშვილმა კი დინამოელ მცველებთან ორთაბრძოლაში პენალტი მოინაგრა - გივი დიდავას ოვონომ კი აუღო,მაგრამ დამატებულს ველარაფერი მოუხერხა.

**50.** 1:1 - ხუციშვილის დარტყმული ხელზე მოხვდა დობროვოლსკის. 11-მეტრიანი იმავე ხუციშვილმა გამოიყენა.

**53.** დავითაშვილის პასით დოლიძე ოვონოსთან პირისპირ დარჩა. კარამდე 25-30 მეტრი იქნებოდა, ამერელმა ბურთის თავზე გადააგდება მოუნდომა ოვონოს, მაგრამ დინამოელთა გაბონელი მეკარე მაღლა ახტა და ბურთს გადაელობა.

**63.** ვაწაძე-ოდიკაძე-ვაწაძე, ნადირაშვილმა კუთხურზე მოიგერია ბურთი.

**70.** დილმელაშვილმა კუთხური მოაწოდა - ხუციშვილს ნადირაშვილმა აუღო.

**77.** 1:2 - გიორგი ელბაქიძემ ბურთის მეკარისთვის დაგორება სცადა, რაც არ გამოუვიდა, ოდიკაძე ნადირაშვილთან პირისპირ დარჩა და გამარჯვებისა შეაგდო.

**79.** მერებაშვილმა "ამერის "დაცვის ცენტრი მოარღვია, ოდიკაძესთან კედლის მაგვარი გაითამაშა და ახლოდან ააცილა კარს.

**89.** დეკანოსიძის ჯარიმა ოვონომ კუთხურზე მოიგერია.

**გიორგი ელბაქიძის** შეცდომა დავით **ოდიკაძემ** შეირგო და ისეთი გოლი შეაგდო, "დინამოს" საჩემპიონო შანსებს ბარაქა მოუტანა.

წინა დღეს "ვიტ ჯორჯიას" გორში "სპარტაკთან" დაუცდა ფეხი - "დინამოსთვის" გუშინდელი გამარჯვება ამითაც იყო გემრიელი - უახლოეს მდევარს ოთხი ქულით დაშორდა.

ამერელთა თავკაცმა **გიორგი ჩიხრაძემ** დანაპირები შეასრულა და თავის გუნდს დაცვითი ფეხბურთი არ ათამაშა. "ამერი" ფრთხილობდა, მაგრამ დაცვაში არ იჯდა - დამუშავებული კომბინაციებით არაერთი ხიფათი შექმნა **დიდიე ოვონოს** კართან.

საინტერესო იყო, როგორ გაუმკლავდებოდა "ამერი" დინამოელთა მარცხენაფლანგელ **გიორგი მერებაშვილს**. მას მეტწილად **გიორგი მემარნიშვილი** მეურვეობდა. პირველ ტაიმში მერებაშვილმა რიგიანად აუწეწა დაცვა და ნერვები "ამერს", თუმც იღბალი სტუმართა მხარეს იყო. იმავე ფლანგზე ოღონდ საპირისპირო მიმართულებით თავისი კოზირი "ამერს" ჰქონდა - **გრიგოლ დოლიძის** სისწრაფე. ჩიხრაძის გუნდმა ეს უპირატესობა საგოლედ ვერ გამოიყენა, თორემ დოლიძეს გატანა ორჯერ შეეძლო - ჯერ პირველ ტაიმში, მერე - მეორეში.

ჩიხრაძემ ფლეიმეიკერი **გიორგი დეკანოსიძე** მარცხენა ფლანგზე გაამწესა ზონის გადასაკეტად, ხოლო როცა "ამერი" უტევდა, დეკა შუისკენ იწევდა და რამდენიმე ძალიან მწვავე და მოხდენილი პასიც შეასრულა.

დოლიძე-დავითაშვილი-**გოცირიძე** და დეკანოსიძე - "ამერის" შეტევა ოთხ კაცზე გადადიოდა ანუ ჩიხრაძის გუნდი დიდი ძალებით თითქმის არ უტევდა. შეიძლება ითქვას, არც **დუშან უჰირინს** გუნდს უყვარს ტოტალური შეტევა, მაგრამ "დინამოს" სხვა უპირატესობები აქვს - ამერელებზე ოდნავ უკეთესი შემსრულებლები მოეპოვება.

მეორე ტაიმი "დინამომ" დიდი ემოციური მუხტით დაიწყო. უჰრინის გუნდს სწრაფი გოლი სჭირდებოდა და გამორჩა კიდეც ამას. "ამერს" მალევე შეეძლო ისევ წაეყვანა ანგარიშში, მაგრამ დოლიძემ ოვონოს ვერ აჯობა - ეს ალბათ მატჩის გარდამტეხი მომენტი იყო.

"დინამოს" უფრო უნდოდა გამარჯვება. ბრძოლისუნარიანობა არც "ამერს" დაეწუნებოდა, მაგრამ ჩიხრაძის გუნდი თასზეა გადართული, საჩემპიონო შნო გუშინდელ მატჩამდე ჰქონდა წართმეული - ალბათ ამ ფაქტორმაც მნიშვნელოვნად განაპირობა "დინამოს" გამარჯვება.

თუმცა ისიც საკითხავია, ელბაქიძის შეცდომა რომ არა, რა მოხდებოდა. როგორც უნდა იყოს, დრამა ფეხბურთის ნაწილია და "დინამოს" გამარჯვება ლოგიკურად უნდა მივიჩნიოთ.

### მატჩის შემდეგ

**გიორგი ჩიხრაძე:** *"ორივე გუნდმა შემტევი ფეხბურთი ითამაშა. "ამერი" მაქსიმალური მონდომებით გაისარჯა. გახსნილი ფეხბურთი ვითამაშეთ და მაყურებელი ალბათ კმაყოფილი დარჩა".*

**დუშან უჰრინი:** *"ორივე გუნდმა აგრესიულად ითამაშა. ასეც მატჩებზე მეტი მაყურებელი უნდა დადიოდეს. დღეს უკეთ ვითამაშეთ, ვიდრე თასზე "ზესტაფონთან". მიმაჩნია, რომ "დინამომ" მეორე წრეში საუკეთესო მატჩი ჩაატარა".*

### რჩეული:

მატჩის საუკეთესო მოთამაშედ მეკარეს რომ ვასახელებთ, ეს იმას სულაც არ ნიშნავს, "ამერი" გამუდმებით უტევდა და "დინამო" თავს იცავდა. თუმც დიდიე ოვონოს ბრწყინვალე თამაშმა მატჩის შედეგი მნიშვნელოვნად განაპირობა. ოვონო გუშინ მეკარეც იყო და ლიბეროც - მეორე ტაიმში დოლიძეს რომ გაეტანა...

**დავით თავართქილაძე**

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: პაატა გელაშვილი; მიმართულების რედაქტორები: მამუკა ჩიხლაძე (ქართული ნაწილი); გია თვალაბეიშვილი (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: პაატა თოთაძე (ქართული ფეხბურთი), შალვა ბიბილაშვილი (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: ნოდარ დუგლაძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: მიხეილ ჯაში; გავრცელების სამსახური: ბაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.

მისამართი: 0159 თბილისი, ახმეტელის 10ა (დიღომი, ახალი კინოსტუდია, I სართული); ტელეფონები: 46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 46 32 62; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX.

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# ძველი გვარდიის ბენეფისი

## ვეტერანების სამი გოლი და სამი ქულა

**სიონი-ლოკომოტივი**

**0:3**

12.04. ბოლნისი. თ.სტეფანია
500 მაყურებელი

0:1 ალექსიძე (12), 0:2 ცქიტიშვილი (47. ალექსიძის პასით), 0:3 დარასელია (57. ცქიტიშვილის პასით).

სიონი: ბობლიაშვილი - ქურასბედიანი, სვანიძე, ბოიომო, შავგულიძე - სანიკიძე (69. ზ. ავალიანი), ბაჯელიძე, გ. ოქროპირიძე, ბ. ნოზაძე (46. გ. ნუგზარის ძე ჭელიძე) - შ. ჯიქია (60. ნაკანი), ჩასემი.

*სათადარიგოები: იაშვილი, ზ. ჭელიძე, კეტაშვილი, ვაშაკიძე.*

ლოკომოტივი: მ. ალავიძე - ფოფხაძე, გუშარაშვილი, ფარულავა, ქუხილავა - ზ. ჩხეტიანი, წულაძე (67. კაჭახიძე), სამხარაძე (82. ბუდაღაშვილი), ცქიტიშვილი - დარასელია (80. გილაური), ალექსიძე.

*სათადარიგოები: მიგინეიშვილი, გ. კვახაძე, ლ. ჩაგელიშვილი, ქუცურუა.*

გაფრთხილება: ფარულავა (50, შავგულიძე (70).

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

10. დარასელიას ფლანგიდან დარტყმული ბურთი ბობლიაშვილმა მოიგერია.

12. 0:1 - რატი ალექსიძემ საჯარიმოს მისადგომებიდან უძლიერესი დარტყმით ბურთი "სიონის" კარის ცხრიანში გაგზავნა.

17. ლევან სანიკიძე ჯარიმიდან ცდილობდა გოლის გატანას - სტუმრები ალავიძის ჩინებულმა რეაქციამ იხსნა.

18. სამხარაძე მარჯვენა ფლანგიდან უტევს - ბობლიაშვილმა იმარჯვა.

27. ქურასბედიანი მახვილი კუთხიდან ურტყამს - ალავიძემ ბურთი კუთხურზე მოიგერია.

39. ცქიტიშვილისა და ბობლიაშვილის "დუელი" ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა.

47. 0:2 - სამხარაძე-ცქიტიშვილი-ალექსიძის ჩინებული კომბინაცია ლევან ცქიტიშვილის ზუსტი დარტყმით დასრულდა.

57. 0:3 - ცქიტიშვილის ზღაპრული პასის მერე ვიტალი დარასელიამ ეფექტური გოლი გაიტანა.

64. ალექსიძე მარცხენა ფლანგიდან შეიჭრა საჯარიმოში, მაგრამ ბურთი მიზანს ააცილა.

78. ავალიანის დარტყმული ბურთი სტუმართა კარის ძელს მოხვდა.

81. 17 წლის ერეკლე კაჭახიძის პასის მერე ალექსიძე ხელსაყრელი პოზიციიდან ურტყამს - "სიონი" საბოლოო განადგურებას კვლავ ბობლიაშვილმა გადაარჩინა.

მეორე წრე "ლოკომოტივმა" უჩვეულო შედეგებით დაიწყო: 7 მატჩში 5 ფრე და ორი წაგება. სამაგიეროდ, გუნდს აშკარად ეტყობოდა, რომ თამაშის ხარისხითაც და ცალკეული ფეხბურთელების საშემსრულებლო ოსტატობითაც გაცილებით მეტს იმსახურებდა. და აი, ნანატრი და, რაც მთავარია, უაღრესად საჭირო გამარჯვების დროც მოვიდა. თან, მოგებაც არის და მოგებაც - "ლოკომოტივმა" მეტოქეს, უბრალოდ, კი არ აჯობა, ჟარგონულად რომ ვთქვათ, "გადაურბინა" და საერთოდ, უშანსოდ დატოვა! სხვათა შორის, საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ "ლოკომოტივს" გამარჯვების გემო 7 ოქტომბრის მერე არ გაეგო. თანაც, **გიორგი კიკნაძის** გუნდმა ექვსი თვის წინანდელი გამარჯვება სწორედ "სიონთან" მოიპოვა!

თუმცა დავუბრუნდეთ შაბათის შეხვედრას, სადაც ძნელად გაიგებდით, თუ ვინ იყო მასპინძელი და ვინ - სტუმარი. ზემოთაც ვთქვით, რომ "ლოკომოტივმა" პირწმინდად დაჩაგრა მეტოქე. 90 წუთის განმავლობაში სტუმრები თავის გემოზე თამაშობდნენ და იმხელა უპირატესობას ფლობდნენ, რომ მოენდომებინათ, ასტრონომიული ანგარიშითაც გაიმარჯვებდნენ. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს დიდად განაპირობა გამოცდილი ფეხბურთელების დამაჯერებელმა თამაშმაც - რამხელა ფუფუნებაა, გუნდში ერთდროულად **ლევან ცქიტიშვილი, რატი ალექსიძე** და **ვიტალი დარასელია** რომ გყავს. ნურც **ირაკლი სამხარაძეს** დავივიწყებთ - ოთხი წლის წინათ საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ფეხბურთელად რომ ითვლებოდა.

სტუმარ ვეტერანთა "ტრიო" იმდენად შთამბეჭდავად გამოიყურებოდა, მცირერიცხოვანი ბოლნისელი ქომაგიც ვერ დარჩა გულგრილი მათი ოსტატობის შემხედვარე. ალექსიძეზე ადრეც ვწერდით, რომ ნელ-ნელა იბრუნებს ოპტიმალურ ფორმას და თითქმის ყველა შეხვედრაში გოლი გააქვს. ახლაც, მთელი მატჩის განმავლობაში "ტერორის ქვეშ" ჰყავდა მასპინძელთა მცველები და ულამაზეს გოლს (თანაც, მისთვის "არასამუშაო" მარჯვენა ფეხით) ერთი საგოლე გადაცემაც მიამატა. ჩინებული გოლი გაიტანა ვიტალი დარასელიამაც, დროულად რომ გაიხსნა და ლევან ცქიტიშვილის დიდოსტატური პასის მერე ყველაფერი არანაკლებ ოსტატურად რომ შეასრულა; სასარგებლოდ თამაშობდა ირაკლი სამხარაძე, დაცვის ცენტრში **ნიკა გუშარაშვილმა** გასაქანი არ მისცა მასპინძელთა სახიფათო ფორვარდს **ერიკ რომეო ჩასემს**, საიმედო იყო მეკარე **მიხეილ ალავიძეც**. მოკლედ, "ლოკომოტივმა" მთლიანობაში ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა. თუმცა ერთ კონკრეტულ ფეხბურთელზე ცალკე გვინდა შევჩერდეთ. წინა სამშაბათს ცალკე წერილი მივუძღვენით ლევან ცქიტიშვილის ეროვნულ ჩემპიონატში დაბრუნებას. ვთქვით, დადებითი ტენდენციაა, ჩვენ ჩემპიონატში კაცები რომ ბრუნდებიან; იმიტომ, რომ ფეხბურთი ყოველთვის იყო და იქნება კაცების თამაში! აი, ცქიტიშვილმა და ალექსიძემ რომ ითამაშეს ბოლნისში, ისეთ თამაშს ვგულისხმობთ. ძნელი დასაჯერებელი იყო, "ცქიტოს" ამდენი ხანი სათამაშო პრაქტიკა რომ აკლდა, მოედნის ცენტრის ბატონ-პატრონი ყველაფერს მაღალ დონეზე (ამასთან, მარტივადაც) ასრულებდა, არც ახალგაზრდა პარტნიორების გამხნევება-შეგულიანებას ივიწყებდა, თავისი გუნდის თითქმის ყველა შეტევაშიც აქტიურად მონაწილეობდა და ორთაბრძოლებში ხომ, ფაქტობრივად, ბურთი არ დაუკარგავს. ისე, ალბათ, სიმბოლურიც იყო, სტუმართა გოლები ეროვნულ ჩემპიონატში დაბრუნებულმა ასეთმა ჩინებულმა ოსტატებმა რომ გაიტანეს...

ახლა კი, ალბათ, დროა, რამდენიმე სიტყვა მასპინძლებზეც ვთქვათ. ანდა, რა არის სათქმელი? სხვისი რა მოგახსენოთ და, ასეთი უსუსური "სიონი" ბოლოს როდის ვნახეთ, ველარც გაგვიხსენებია. კი, გასაგებია, რომ "ლოკომოტივს" რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელი ჰყავდა, მაგრამ სწორედ ძლიერთან არ უნდა წარმოაჩინო საკუთარი შესაძლებლობები? შესაძლოა, ვინმემ საკადრო პრობლემებზე ისაუბროს, ან მეტოქესთან შედარებით მოტივაციის არქონაზე, მაგრამ საკუთარი ქომაგების წინ თავმოყვარე გუნდი უფრო ღირსეულად უნდა თამაშობდეს. თანაც, ბოლნისში, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, კატასტროფულად იკლო გულშემატკივარმა და ასეთი თამაშის შემხედვარე, ვშიშობთ, ქომაგთა რიცხვმა კიდევ არ მოიკლოს...

**მატჩის შემდეგ**

**გიორგი კიკნაძე** (ლოკომოტივი): *"ყველას მოეხსენება, თუ როგორი რთულია ბოლნისში თამაში. აქედან გამომდინარე, არ ველოდებოდი ასეთ გამარჯვებას. შესაძლოა, მეტოქე შედარებით ნაკლებად მოტივირებული იყო, მაშინ როცა ჩვენთვის თითოეულ ქულას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. საერთოდ კი ვთვლი, რომ ისეთი თამაშით, დღეს რომ ვაჩვენეთ, უმაღლეს ლიგაში დარჩენა არ უნდა გაგვიჭირდეს".*

**გიორგი ყიფშიძე** (სიონი): *"დღეს მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი თამაშობდა, რომელმაც პირწმინდად დაგვჯაბნა. არც ვიცი, რა უნდა ვთქვა - თამაშის ყველა კომპონენტში გვაჯობეს. ასეთი უსუსური "სიონი" მე არ მახსოვს... თუმცა ისიც ნათლად გამოჩნდა, რამხელა მნიშვნელობა აქვს ფეხბურთელის კლასს - აი, დღეს ცქიტიშვილმა, ალექსიძემ, დარასელიამ და სამხარაძემ რომ აჩვენეს."*

**გია ტუხაშვილი**
ბოლნისი-თბილისი

# პლუს ლომაია და უსარგებლო სამი ქულა

**ოლიმპი-დილა**

**1:0**

12.04. რუსთავი. ფოლადი
400 მაყურებელი

1:0 მახვილაძე (61. პენ.)

ოლიმპი: შეყრილაძე (52. ლომაია) - ორბელაძე, მახვილაძე, სილაგაძე – სტეფანიშვილი (46. ჯოჯუა), სებისკვერაძე, ხუბუა, გეწაძე, დევდარიანი (58. იმედაძე) – კახელიშვილი, ომელიანოვი

*სათადარიგოები: გაბეედავა, გ. რეხვიაშვილი, ნ. მგელაძე*

დილა: ცერცვაძე – ტლაშაძე, გვეტაძე, ლაცაბიძე, ბალაშვილი – ი. ლომიძე, აბრამიშვილი (62. გაგნიძე), ბალიაშვილი, ვარდოსანიძე, სულთანიშვილი (28. ჩერქეზიშვილი) – იჩქითი

*სათადარიგოები: ილურიძე, გიორგობიანი, რატიანი, გობეჯიშვილი*

გაფრთხილება: ბალიაშვილი (35), აბრამიშვილი (60), კახელიშვილი (90)

არბიტრი: ვ. ელისაბედაშვილი

3. ომელიანოვმა ახლო მანძილიდან ააცილა.

18. სულთანიშვილმა კუთხური მოაწოდა, გვეტაძის სახიფათო თავური შეყრილაძემ ნახტომით მოიგერია.

59. ჯოჯუამ იმედაძე მეკარესთან პირისპირ გაიყვანა. "ოლიმპის" ფორვარდის დარტყმული ცერცვაძემ მოიგერია.

60. აბრამიშვილთან ორთაბრძოლისას ომელიანოვი დაეცა, არბიტრმა პენალტი დანიშნა.

61. 1:0 – მახვილაძემ თერთმეტმეტრიანი უნაკლოდ შეასრულა.

83. მეურვეთა გარემოცვაში მოქცეულმა კახელიშვილმა არაზუსტად დაარტყა.

სატურნირო თვალსაზრისით, რუსთავში არცთუ მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართა, სამაგიეროდ, მატჩი სხვა ამბით იყო მნიშვნელოვანი. დაახლოებით ხუთწლიანი პაუზის შემდეგ, საქართველოს ჩემპიონატს **გიორგი ლომაია** დაუბრუნდა. შეგახსენებთ, ეროვნული ნაკრების მეკარე ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში უკლუბოდ იყო, თუმცა "ვიტ ჯორჯიასთან" ერთად ვარჯიშობდა და სულ ცოტა ხნის წინათ "ოლიმპის" შეთავაზება მიიღო. როგორც ხედავთ, ლომაია მოედანზე მეორე ტაიმის დასაწყისში შევიდა, **ბექა შეყრილაძეს** ტრავმა არ მიუღია, უბრალოდ, რუსთაველთა მწვრთნელებმა გადაწყვიტეს, თამაშში ორივე მეკარეს მიეღო მონაწილეობა.

პირველ ტაიმში შეყრილაძემ თავისი გუნდი ერთხელ გადაარჩინა, ლომაიას კი საქმე, ფაქტობრივად, არ ჰქონია. თამაში საკმაოდ უსახური გამოდგა, "ოლიმპი" უპირატესობას კი ფლობდა, მაგრამ ხელაღებით ვერ ვიტყვით, რომ გამარჯვებას იმსახურებდა. დროდადრო სტუმრები მწვავე კონტრშეტევების განხორციელებას ცდილობდნენ, მაგრამ დასკვნით ფაზამდე ვერ მიდიოდნენ. საერთო ჯამში, ფრეც კანონზომიერი შედეგი იქნებოდა და რომ არა ერთი შეხედვით სათუო პენალტი, გორელები შინ ქულით დაბრუნდებოდნენ.

"ოლიმპს" ორი რეალური საგოლე მომენტი ჰქონდა, მაგრამ ამის მიუხედავად, გუნდს წინა ხაზში კვლავ უჭირს. ამაზე თუნდაც სატურნირო ცხრილი მეტყველებს. ექსჩემპიონს ჩატარებულ მატჩებზე ნაკლები გოლი აქვს გატანილი.

"დილამ" თავისი შესაძლებლობების ფარგლებში ბოლომდე იბრძოლა (არ დაგვავიწყდეს, რომ გორელებს ლამის ნახევარი გუნდი ჰყავთ დისკვალიფიცირებული), მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ იყო. სეზონის დარჩენილი ნაწილი ორივე გუნდისთვის მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს...

**ლევან ჯანეზაშვილი**



ლომაია ქართულ ფეხბურთს დაუბრუნდა

# შანსი რჩება

**ბათუმი-მგლები**

**2:0**

12.04. ბათუმი. ადელი
150 მაყურებელი

1:0 ქებაძე (21. პენ), 2:0 ქებაძე (50. პენ)

*გამოუყენებელი პენალტი: ცანავა (90. მეკარე)*

ბათუმი: თოთლაძე - კუნჭულია, კ. მახარაძე, თედორაძე, ჩხეტიანი (76. ტულუში) - მაკარიანი, ცანავა, ქებაძე, ბაბუნაიშვილი - კაკალაძე (63. ოქრუაშვილი), ჭელიძე (65. ქუთათელაძე).

*სათადარიგოები: სტურუა, გალოგრე, ჩელებაძე, ბეჟანიძე.*

მგლები: ქალდანი - ზ. ექონია, მაჭავარიანი, ჟვანია, კაკაბაძე - დ. ქირია, ხოხონიშვილი, ვართაგავა, წურწუმია (62. გ. ქირია) - კრასოვსკი (63. ჯანაშია), ჭკადუა (56. კუტალია)

*სათადარიგოები: ჭითანავა, სუხია, გ. ექონია, ქომეთიანი.*

გაფრთხილება: ცანავა (7) ჟვანია (44)

არბიტრი: მ. ურუშაძე

„ბათუმმა", როგორც იქნა, მოიგო, რითიც უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსი, კვლავ შეინარჩუნა. სამი ქულა სტუმრებსაც არ აწყენდათ, თუმცა მასპინძლებს უფრო მეტად სჭირდებოდათ და სწორედ ამიტომაც, მოედანზე ისინი გაცილებით მოტივირებულნი ჩანდნენ. პირველი სახიფათო მომენტიც მეტოქის კართან სწორედ ზღვისპირელებმა შექმნეს. მე-8 წუთზე **ჩხეტიანმა კაკალაძეს** კარგი პასი მიაწოდა, მაგრამ საჯარიმოში მარცხენა ფლანგიდან შესულმა ბათუმელთა ფორვარდმა საკმაოდ სუსტად დაარტყა და ბურთი მეკარემ მოიგერია. 21-ე წუთამდე სახიფათო მომენტი, ფაქტობრივად, არც ერთ კართან არ შექმნილა. თამაში ძირითადად მოედნის ცენტრში მიმდინარეობდა, თუმცა აშკარა იყო, რომ მასპინძლები ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ, რაც 21-ე წუთზე გოლში აისახა კიდეც. კაკალაძე კარგად შეიჭრა საჯარიმოში, სადაც მხოლოდ წესების დარღვევით შეაჩერეს. თერთმეტმეტრიანის დარტყმა **ქებაძემ** ითავა - მეკარე მოატყუა და ანგარიში გახსნა. პირველი ტაიმის მიწურულს, მასპინძლებმა შორიდან სცადეს **ქალდანის** კარის აღება. ორჯერ **ჭელიძემ** დაარტყა, პირველ შემთხვევაში მეკარე დაეუფლა ბურთს, მეორე დარტყმა კი მიზანს ასცდა. შემდეგ უკვე კაკალაძემ მოსინჯა სტუმართა კარის დარაჯის სიფხიზლე, მაგრამ ქალდანმა ბურთი ნახტომში კუთხურზე მოიგერია.

მეორე ტაიმიც ანალოგიური სცენარით წარიმართა. „დინამო" სჯაბნიდა მეტოქეს და აშკარად ჩანდა, რომ მასპინძლები მხოლოდ ერთი გოლით არ დაკმაყოფილდებოდნენ. ასეც მოხდა, მასპინძელთაგან ერთ-ერთი აქტიური ჩხეტიანი საჯარიმოში ისეთივე მეთოდით შეაჩერეს, როგორც მისი თანაგუნდელი კაკალაძე და მსაჯმაც უყოყმანოდ დანიშნა პენალტი. ბურთთან კვლავ ქებაძე მივიდა და დუბლიც მიითვალა. ყველაფერი ეს, 50-ე წუთზე მოხდა. მატჩის ბოლომდე კი დასამახსოვრებელი არაფერი ყოფილა. მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე კი უკვე **ირაკლი ცანავა** მოცელეს საჯარიმოში და **მამუკა ურუშაძემ** მესამედ დანიშნა პენალტი. დარტყმა თავად დაზარალებულმა შეასრულა, მაგრამ ამჯერად მას ქალდანმა აჯობა და ბურთი მოიგერია.

**ირაკლი დარცმელიძე**
ბათუმიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მერანს მდგომარეობა გაურთულდა

**მერანი-მესხეთი**

**0:4**

12.04. თბილისი. მერანი
100 მაყურებელი

0:1 ინასარიძე (10. კოშკაძის პასით), 0:2 კიკნაძე (22. გვირჯიშვილის პასით), 0:3 ინასარიძე (43. პენ), 0:4 მუშკუდიანი (85. გვირჯიშვილის პასით)

მერანი: თევდორაძე – ლოლაძე, გიგაური, თავბერიძე, სარალიძე – ჯანგიძე, ბესარაშვილი (35. ქოქიაშვილი), კობერიძე, ბაკურაძე (42. ფირანიშვილი) – არველაძე, გოჩაშვილი.

*სათადარიგოები: დგებუაძე, დესიაძე, აბშილავა, ქემაშვილი.*

მესხეთი: სომხიშვილი - თ. ლონლაძე, ლ. მერებაშვილი, ქობესაშვილი, რაქვიაშვილი – კ. ხანიშვილი, ლეკიშვილი, კოშკაძე (70. თელიაშვილი), გვირჯიშვილი – ინასარიძე (59. მ. თაყაძე), კიკნაძე (60. მუშკუდიანი).

*სათადარიგოები: ძამუნაშვილი, ნადირაშვილი, სუდაძე, სამადაშვილი.*

გაფრთხილება: ლეკიშვილი (44)

არბიტრი: ო. ხეცაძე

**5.** ბესარაშვილის მიერ დარტყმული ჯარიმა სომხიშვილმა მოიგერია.

**10.** 0:1 - კოშკაძემ ინასარიძე მეკარესთან პირისპირ დატოვა. მანაც კიპერი მოატყუა და ანგარიში გახსნა.

**22.** 0:2 - სტუმართა მეორე შეტევაც გოლით დასრულდა. ფლანგიდან გვირჯიშვილის ჩაწოდებული კიკნაძემ თავით კარში გადაგზავნა.

**25.** თევდორაძემ კოშკაძის დარტყმული მოიგერია.

**27.** თავბერიძის დარტყმული მცირედით ასცდა მიზანს.

**43.** 0:3 - კიკნაძე საჯარიმოში ხელით შეაჩერეს და არბიტრმა პენალტი დანიშნა. თერთმეტმეტრიანი ინასარიძემ ზუსტად შეასრულა.

**67.** მუშკუდიანის დარტყმა მეკარემ მოიგერია.

**68.** მერებაშვილის თავური თევდორაძემ მოიგერია.

**75.** ლონლაძემ კარგი პასით მუშკუდიანი მეკარე თევდორაძესთან პირისპირ გაიყვანა, მაგრამ დარტყმული კარს ასცდა.

**81.** ლოლაძის პასით ირაკლი არველაძე მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ გამოსვლაზე სომხიშვილმა იმარჯვა და ბურთს დაეუფლა.

**85.** 0:4 - მუშკუდიანმა მცველებს აჯობა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.



აუტსაიდერებში მყოფ და ლიგაში დასარჩენად მებრძოლი "მერანისთვის" თითოეულ ქულას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამ მატჩშიც შეუპოვარ ბრძოლას ველოდით, მაგრამ სტუმრებმა მასპინძლები აშკარად დაჯაბნეს, თანაც ყველა კომპონენტში. გოლების აღწერას აზრი არ აქვს, სტენოგრამაშიც ყველაფერი ნათლად ჩანს. მესხებს ორი ბურთის გატანა კიდევ შეეძლოთ, მაგრამ საბოლოოდ ოთხს დასჯერდნენ.

სტუმართა ბომბარდირმა **დავით ინასარიძემ** ამჯერადაც დუბლი მიითვალა და თავისი გუნდის აღმასვლაში დიდი წვლილი შეიტანა.

ამ წაგებით „მერანმა" ლიგაში ადგილის შენარჩუნების შანსი კიდევ უფრო შეიმცირა და სანამ გვიანი არაა, თბილისელებმა თამაშის ხარისხი უნდა გამოასწორონ.

**დავით ცაბაძე**

# ქართლი ვიწრო აღმოჩნდა

**სპარტაკი-ვიტ ჯორჯია**

**0:0**

12.04. თბილისი. მერანი
200 მაყურებელი

სპარტაკი: კოდალაევი - ბახტურიძე, ხაჭიპერაძე, ქორიძე, მამუკაშვილი - ხიდაშელი (73. ლონლაძე), თარხნიშვილი, კუპრეიშვილი, ტყეშელაშვილი, გოგოხია - კვარაცხელია (82. ხიზანიშვილი)

*სათადარიგოები: ქვილითაია, თექთურმანიძე, დათუნაშვილი, ქავთარაძე, მედოევი*

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი - პ. დათუნაიშვილი, კვახაძე, ლომაია, ბეჭვაია - რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი (50. ჯაფარიძე), კლიმიაშვილი - მელქაძე, სახოკია (73. ლუჭაშვილი), ბერიაშვილი (59. ლიპარტია)

სათადარიგოები: მიქაბერიძე, ყველაშვილი, პირველი, ინჯგია

გაფრთხილება: რაზმაძე (67), ხიზანიშვილი (90)

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი

**15.** მარცხენა ფლანგიდან გიორგი დათუნაიშვილი მაღალ ბურთს აწვდის კართან ახლოს მცველთაგან უყურადღებოდ დარჩენილ კლიმიაშვილს, თუმცა კოდალაევმა დაასწრო შემტევს.

**25.** ნუკრი გოგოხიას შესრულებული საჯარიმო დარტყმა ცოცხალ კედელს ხვდება და მიმართულებას იცვლის, მაგრამ გრიგოლ ბედიაშვილი ასხლეტილ ბურთს იგერიებს.

**48.** სტუმართა შეტევისას კარის სიახლოვიდან ირაკლი კლიმიაშვილის დარტყმული მცველს ხვდება.

**65.** „სპარტაკის" კონტრშეტევისას გოგოხიამ ვახტანგ კვარაცხელია მეკარესთან პირისპირ დატოვა, რომელმაც თავის მხრივ ბედიაშვილს ბურთი გადაუგდო თავზე, მაგრამ იგი ხარიხას მოხვდა. სტუმრები გაშვებულ გოლს გადარჩნენ.

**75.** ჯაბა ლიპარტიას ახლოდან დარტყმულს ვაჟა ქორიძე თავგანწირვით გადაეფარა და მომენტი განმუხტა.

**80.** ხელსაყრელ პოზიციაში მყოფ ლიპარტიას ამჯერად კოდალაევმა არ გაატანინა.

**88.** ცხინვალელთა მორიგი კონტრშეტევისას მოედნის ცენტრთან ხიზანიშვილმა იგდო ბურთი, მაგრამ სტუმართა გოლკიპერთან პირისპირ გასვლისას მოძრაობა დააგვიანა და წამოწეულმა მცველმა განმუხტა მომენტი.

**90.** ბოლო წუთებში ცხინვალელთა კარი ხუთიოდ მეტრიდან „ვიტ ჯორჯიის" ფეხბურთელთა დარტყმებს მცველების თავგანწირული თამაშის გამო გადაურჩა.

სათაურის წამკითხავთ „ქართლის" არენის სტანდარტულობაზე ეჭვი ნუ შეგეპარებათ. ყველაფერი რიგზეა. გასული წლის 2 აპრილს გასავარდნი ზონის ბინადარი „ჩიხურა" ლიდერ „ზესტაფონს" ამ სტადიონზე მასპინძლობდა და ის მატჩი ბევრის გასაკვირად, ფრედ დასრულდა, **თემურ მახარაძემ** განაცხადა: ერთი კარი დაბალი იყო და გოლიც ამიტომ ვერ შევაგდეთო. თითქმის წელიწადი გავიდა და მორიგმა ლიდერმა „ვიტ ჯორჯიამ" ყველასთვის მოულოდნელად, თოთხმეტმატჩიანი უწყვეტი მოგებების სერია სწორედ ამავე არენაზე აუტსაიდერ ცხინვალის „სპარტაკთან" დაასრულა.

ზედიზედ 14 მოგებული შეხვედრის ჯაჭვი, ბუნებრივია, დაუსრულებელი ვერ იქნებოდა და სადაც ვიწრო იყო იქ უნდა გამწყდარიყო. **ნესტორ მუმლაძის** გუნდისთვის კი ვიწრო „ქართლი" აღმოჩნდა.

როგორც გულშემატკივარი, ისე ორივე გუნდი, ამ ფრეს, ალბათ, ძნელად თუ წარმოიდგენდნენ. ჩვენც, „ქართლზე" შეკრებილი მაყურებლები შეხვედრის 65-ე წუთამდე თამაშს ჭარბი ემოციის გარეშე ვუყურებდით, რადგან გვეგონა „ვიტ ჯორჯია" გოლს უბრალოდ აგვიანებდა, თუმცა **ვახტანგ კვარაცხელიამ** ცხინვალელთა მორიგი კონტრშეტევისას მეტოქე კიპერს ბურთი რომ თავზე გადაუგდო და სტუმრები აშკარა გოლს ხარიხამ გადაარჩინა, საამმატჩო პროგნოზის სიზუსტეში უკვე ნამდვილად დავეჭვდით.

საკმაოდ რიგიანად მოთამაშე, მაგრამ თუნდაც ქართული საზომებით არცთუ ძლიერ „სპარტაკს" მეტოქისთვის წინააღმდეგობის გაწევა უნდა გასჭირვებოდა. მართალია **კობა ჟორჟიკაშვილის** შეგირდებთან პაექრობა გასეირნება არავისთვისაა, მაგრამ ისინი ხომ ნესტორ მუმლაძის დამოძღვრილ რამდენიმე თვის განმავლობაში ქულადაუკარგავ გუნდს ხვდებოდნენ და თანაც „სპარტაკს" დისკვალიფიკაციის გამო, ორი საკვანძო ფიგურა, **რევაზ ქემოკლიძე** და **ირაკლი ძარია** აკლდა. ცხინვალელებმა თავი არ დაზოგეს საკადრო დანაკლისის ასანაზღაურებლად, განსაკუთრებით ქემოკლიძის არყოფნა არ შეიმჩნიეს მასპინძლებმა. კარის უსაფრთხოებისთვის გარჯას სწორედ ქემოკლიძის მეწყვილე **ბესიკ ხაჭიპერაძე** ხელმძღვანელობდა.

საერთოდ, სანახაობის თვალსაზრისით, მთლიანად ეს მატჩი და განსაკუთრებით მისი პირველი ტაიმი სახარბიელო ვერ გამოდგა. „ვიტ ჯორჯია" ფლობდა მცირე ტერიტორიულ უპირატესობას, მაგრამ **კოდალევის** კართან ხიფათის შექმნა უჭირდა და თუ რამენაირად მაინც შექმნიდა, მაშინ უკვე გოლკიპერი თამაშობდა ზუსტად. მოლოდინისამებრ, კონტრშეტევებზე იყო ორიენტირებული „სპარტაკი". მასპინძლები ორგანიზებულად იცავდნენ თავს, სწრაფად ცდილობდნენ მოწინააღმდეგის ნახევარზე გადასვლას და იქ მთავარ მოიერიშე კვარაცხელიასთვის საგოლე მომენტის შემქნას, თუმცა არათუ საგოლე, ერთგვარი ხიფათიც კი ბედიაშვილის კართან მეტად იშვიათად იქმნებოდა. შეხვედრის პირველ ნახევარში ვიტელები არცთუ იშვიათად უხეიროდ წარმართულ კომბინაციებს, უზუსტოდ შესრულებულ სტანდარტულებს და შეუთანხმებელ თამაშს, საგანგაშოდ ალბათ ვერ აღიქვამდნენ. მაყურებელიც ჩვეულებრივად უქცერდა შექმნილ ვითარებას და მშვიდად ელოდა სტუმართა გოლს.

ასეთი რამ მუმლაძისგან შესვენებაზე დატუქსულ შეგირდებს მატჩის განახლებიდან მალევე შეეძლოთ მოეხერხებინათ. გოლი 48-ე წუთზე, პირველ ტაიმში თანაგუნდელთაგან ერთ-ერთ გამორჩეულ **ირაკლი კლიმიაშვილს** შეეძლო გაეტანა. მალე პირიქით, საკუთარი კარის ბადეში ბურთის გაშვებას გადარჩენილი სტუმრები იძულებული გახდნენ შეტევებისას დაცვაზეც სათანადოდ ეზრუნათ. ცოტა ხანში კი შეცვლაზე **ჯაბა ლიპარტია** შეუშვეს, რომელმაც აღსანიშნავია, რომ მთელი დარჩენილი დროის განმავლობაში მასპინძლები აიძულა ყველაზე დიდი ყურადღება სწორედ მის მიმართ გამოეჩინათ.

რაც უფრო ახლოვდებოდა საფინალო სასტვენი, უფრო ჩქარობდა და ღელავდა „ვიტ ჯორჯია". თბილისელებმა მარწუხებიც მჭიდროდ შემოუჭირეს მასპინძლებს, რომელთაც, მიუხედავად ამისა, ორგანიზებულობა არ დაუკარგავთ და ბოლოსკენ კინაღამ ავანტურაზე წასულ კობა ჟორჟიკაშვილს უფრო დიდი სენსაციის შემოქმედადაც შეეძლო ეგრძნო თავი. მან თავდამსხმელი **მამუკა ლონლაძე** გამოიყვანა მოედანზე. ცხადია, ძნელი იქნებოდა გაშმაგებული ვეტერინარების შემყურეს ორივე თავდამსხმელი პირდაპირ მათივე ამპლუით დაეგეშა ბედიაშვილის კარზე, მაგრამ გარემარბის ფუნქციებში ჩართულ ლონლაძეს სტუმარ მცველთა შეცდომის გამოყენება უნდა მოეხერხებინა, რაც ერთხელ შეძლო, მაგრამ გოლამდე ცოტა დააკლდა.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან




ვეტერინართა სიხარული ჯენ ნაადრევია

ნუგზარ სუარიძის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ლეგიონი

# უგოლო, მაგრამ ტიტულიანი


ალექსანდრე იაშვილის შეტევა

**ამ ტურში** ძირითად ლიგებში მოთამაშე ქართველმა ლეგიონერებმა გოლებით ვერ გაგვახარეს, თუმცა ყურადღების ცენტრში ქართველი მწვრთნელი იყო – თემურ ქეცბაიამ „ანორთოსისი" კვიპროსის ჩემპიონი გახადა და თან ეს მან ჩემპიონატის დასრულებამდე გააკეთა.

## სეთურიძის ნაგვიანევი დებიუტი

ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში, "კამპ ნოუზე" მიღებულმა ტრავმამ **ლევან კობიაშვილი** ბუნდესლიგას, შესაძლოა, თვის ბოლომდე გამოაკლოს. უმისოდ დარჩენილ "ხუმარებს" კი ბრემენში სულაც არ ჰქონდათ სახუმრად საქმე - "ვერდერმა" 5:1 გაანადგურა უშუალო კონკურენტი და მეორე ადგილი დაიბრუნა. ახლა "ვერდერს" 50 ქულა აქვს, "შალკეს" კი 48 დარჩა. მატჩმა „შალკეს" დამრიგებლის, **მირკო სლომკას** პოსტი შეიწირა.

ძალიან ცუდად თამაშობს **ალექსანდრე იაშვილის** "კარლსრუეც", ამ ტურში ქართველი ფორვარდის გუნდი შინ "ჰანზასთან" 1:2 დამარცხდა, "კარლსრუე" 38 ქულით ჯერჯერობით ისევ მეცხრეზეა, თუმცა მას უკვე წამოეწია მეათეადგილოსანი "ჰანოვერი". ალექსანდრე იაშვილი სასტარტოში იყო, ის 61-ე წუთზე **კრისტიან ტიმმა** შეცვალა. ქართველს უკვე მეორე წუთზე შეექმნა საგოლე მომენტი, მაგრამ კარიდან ექვს მეტრში ბურთს ვერ მიუსწრო.

მეორე ბუნდესლიგაში **გიორგი სეთურიძის** დებიუტი „კარლ ცაისში" გადასვლიდან ცხრა თვეში შედგა, ის „ფრაიბურგთან" გასვლით მატჩში სასტარტო შემადგენლობაში ნახევარდაცვაში გაამწესეს. გიორგი 56-ე წუთზე შეცვალეს. **ილია კანდელაკმა** 90 წუთი ითამაშა, ხოლო **გიორგი ონიანი** სათადარიგო იყო 0:2 წაგებულ მატჩში, რომელმაც „კარლ ცაისი" რეგიონალლიგას მიუახლოვა. მასპინძელთა განაცხადში არ ყოფილა **ოთარ ხიზანეიშვილი.** „შპორტალმა" დებიუტანტი მკაცრად შეაფასა, სეთურიძის თამაში 4,5 ბალით აღინიშნა, კანდელაკისა – 4.

## შოთას ცხრა წუთი

**კახა კალაძეს** "იუვენტუსთან" დაპირისპირება დისკვალიფიკაციამ გამოატოვებინა. შეგახსენებთ, რომ მან წინა ტურში, "კალიარის" წინააღმდეგ ყვითელი ბარათი მიიღო. „მილანი" უქართველოდ 2:3 დამარცხდა ტურინში. „ბლექბერნი" **ზურაბ ხიზანიშვილის** გარეშე დამარცხდა „ლივერპულთან", **მარკ ჰიუზმა** ამჯერად ქართველისთვის დაცვის ხაზში ადგილი ვერ გამოძებნა.

**შოთა არველაძის** „ლევანტემ" იშვიათი გამარჯვება მოიპოვა, ვალენსიურმა კლუბმა სტუმრად „ბეტისი" დაამარცხა – 1:0. შეგახსენებთ რომ შოთა სეზონის ბოლოს ფეხბურთელის კარიერას ასრულებს. არველაძე 81-ე წუთზე გამოჩნდა **ალექსანდრე გეიხოს** ნაცვლად.

## მირზას პასით

ავსტრიის ბუნდესლიგაში აუტსაიდერი "ვაკერი" 2:0 დაამარცხა **გიორგი შაშიაშვილის** "შტურმმა", ქართველმა მცველმა შეუცვლელად ითამაშა. "შტურმი" 50 ქულით მეხუთე ადგილზეა.

ავსტრიის რანგით მეორე, ერსტე ლიგაში სტუმრად შვანენშტადტში 2:0 იმარჯვა **მირზა ბჟალავას** "აუსტრიამ" და ლიდერ "კაპფენბერგთან" ჩამორჩენა ხუთ ქულამდე შეამცირა, შესაბამისად, ბუნდესლიგაში გადასვლის შანსიც გაიზარდა. მირზამ მატჩის 89-ე წუთამდე ითამაშა, შემდეგ ქართველი ნახევარმცველი **პეტერ პიოლჰუბერით** შეცვალეს. ბჟალავა მატჩის 45-ე წუთზე მსაჯმა გააფრთხილა. 54-ე წუთზე ლუსტენაუელთა საგოლე კომბინაცია მათმა ქართველმა ნახევარმცველმა წამოიწყო.

შვეიცარიაში, როგორც იქნა, მოიგო **სანდრო იაშვილის** "თუნმა", რომელმაც შინ "ქსამაქსი" დაამარცხა - 2:1. სანდრო სათადარიგო იყო და, სამწუხაროდ, ის მწვრთნელს არც გახსენებია.

## გოგუა სტილს არ ღალატობს

ხუთი თამაში და ქულათა მაქსიმუმი (15) ასეთი შესაშური სტარტი აქვს ყაზანის "რუბინს", რომლის დაცვასაც ორი ქართველი ამაგრებს. თუმცა "ხიმკის" რბევაში სტუმრად (4:0) მხოლოდ **დავით კვირკველიამ** მიიღო მონაწილეობა, **ლაშა სალუქვაძეს** არ უთამაშია. რუსული წყაროების ცნობით, მეორე ტაიმში კვირკველიამ "აშკარად მოცელა" მასპინძელთა ფორვარდი, მაგრამ მსაჯმა პენალტი არ დანიშნა. სხვათა შორის, "რუბინმა" ყველა გოლი მეორე ტაიმში გაიტანა. "რუბინის" გოლკიპერი **ნუკრი რევიშვილი** ჯერაც ოპერაციისშემდგომ აღდგენით პროცესს გადის.

ნალჩიკის "სპარტაკმა" სტუმრად ბოლო წუთზე გაიტანა გამარჯვების გოლი და მოსკოვის ცსკა დაამარცხა - 1:0. **გოგიტა გოგუამ** თავის ჩვეულ სტილში ითამაშა, მეათე წუთზე მას ეუხეშნენ, გოგიტამ მეტოქეებს სამაგიერო ხუთი წუთის შემდეგ გადაუხადა, როცა მოედნის ცენტრში ძალიან უხეშად მოცელა **რიკარდო ჟეზუსი**. ქართველი ყვითელ ბარათს დააჯერეს. პირველივე ტაიმში, გოგუა ერთ ეპიზოდში დაშავდა, თუმცა ბრძოლა მან ბოლომდე გააგრძელა. სრულად ითამაშა **ალექსანდრე ამისულაშვილმაც**, რომელმაც ასევე ყვითელი ბარათი დაიმსახურა. სასტარტოში იყო **დავით სირაძეც**, რომელსაც 54-ე წუთზე რუსულ პრემიერლიგაში ანგარიშის გახსნის კარგი შანსი ჰქონდა, თუმცა მას ფეხებში ცსკა-ს გოლკიპერი **აკინფეევი** ჩაუხტა და მასპინძელთა გუნდი გოლისგან იხსნა.

გუშინ დილით (ჩვენი დროით) **ლევან გვაზავას** „ლუჩი" „სატურნს" დაუზავდა – 0:0. ლევანმა პირველ ტაიმში ერთი საგოლე მომენტი შექმნა, როცა ორი მეტოქე მოატყუა და თანაგუნდელს 10 მეტრიდან დარტყმის საშუალება მისცა, მაგრამ ამ შემთხვევაში სტუმართა გოლკიპერმა იყოჩაღა. მატჩის 76-ე წუთზე ლევანმა მეტოქე წააქცია, თუმცა ორთაბრძოლისას თავად დაშავდა და შესაცვლელი გახდა.

## ციმაკურიძეც გამოჩნდა

უკრაინის ვიშა ლიგაში პრინციპული მატჩი წააგო **ოლეგ პროტასოვის** "დნიპრომ", **ჯაბა კანკავას** და **სანდრო კობახიძის** გუნდმა "შახტართან" საშინაო პაექრობა 1:3 დათმო. ჯაბა 56-ე წუთზე შეცვალა პროტასოვმა, სანდრო განაცხადში არ ყოფილა. "დნიპრო" 51 ქულით მესამეა და "შახტარს" უკვე ხუთი ქულით ჩამორჩება. თუკი დიდებმა წააგეს "დნიპროს" დუბლშემადგენლობამ 2:1 მოუგო "შახტარის" რეზერვს, ამ მატჩში სანდრო კობახიძე გააძევეს.


მარცხნივ გოგიტა გოგუა

გუშინ ტურში ქართულ დაპირისპირებას ველოდით **კახა ალადაშვილის** „ხარკოვი" **ლადო ბურდულის** „ზარიას" მასპინძლობდა (0:1). ტრავმამ მატჩს კახა ალადაშვილი დააკლო, სამაგიეროდ, „ზარიის" რიგებში ორმა ჩვენებურმა ითამაშა, მე-80 წუთზე ბურდული შეცვალეს, ხოლო 91-ეზე „ზარიის" რიგებში **გიორგი ციმაკურიძე** ვიხილეთ.

## ქეცბაია ჩემპიონ!

თემური და მისი გუნდი ჩემპიონია – გუშინ **თემურ ქეცბაიას** „ანორთოსისი" 0:0 დაუზავდა „ომონიას", რაც სავსებით საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ფამაგუსტელებმა ნაადრევად გაინაღდეს ტიტული. ქეცბაიამ გუნდი ჩემპიონი 2005 წელსაც გახადა, ოღონდ მაშინ ეოთამაშე-მწვრთნელის სტატუსით, სულ კი „ანორთოსისი" კვიპროსის ჩემპიონი მე-13-დ გახდა. **კობა წიტაიშვილმა** ამ თამაშში მეორე ტაიმის შუაწელამდე ითამაშა

კვიპროსში ინტერტოტოს თასის საგზურისთვის იბრძვის **ლევან ქებაძის** "ეთნიკოსი", რომელიც შინ 2:2 დაუზავდა აპოპ-ს, ლევანმა 90 წუთი ითამაშა. ოთხ მოცილეს შორის ყველაზე ნაკლები შანსი "ეთნიკოსს" აქვს, რომელიც ჯგუფში 37 ქულით ბოლოა. **ლევან მაღრაძის** „აპოლონმა" უქართველოდ იმარჯვა და ინტერტოტოს თასის საგზურის მოპოვების ფავორიტი გახდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| ფეხბურთელი | მატჩი | ანგ. | შენიშვნა | სტატ. |
|---|---|---|---|---|
| **გერმანია** | | | | |
| ბუნდესლიგა. XXVIII ტური | | | | |
| ლევან კობიაშვილი | ვერდერი-შალკე | 5:1 | ტრავმა | 11 თ. 1 გ. |
| ალექსანდრე იაშვილი | კარლსრუე-ჰანზა | 1:2 | 61 წთ. (შეცვალეს) | 24 თ. 0 გ. |
| მეორე ბუნდესლიგა. XXIV ტური | | | | |
| ილია კანდელაკი | ფრაიბურგი-კარლ ცაისი | 2:0 | 90 წუთი | 14 თ. 0 გ. |
| გიორგი ონიანი | ფრაიბურგი-კარლ ცაისი | 2:0 | არ უთამაშია | 11 თ. 0 გ. |
| გიორგი სეთურიძე | ფრაიბურგი-კარლ ცაისი | 2:0 | 56 წთ. (შეცვალეს) | 1 თ. 0 გ. |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი-კარლ ცაისი | 2:0 | არ უთამაშია | 2 თ. 0 გ. |
| მათე ღვინიანიძე | ოფენბახი-მიუნხენი | 2:0 | ტრავმა | 13 თ. 0 გ. |
| **ინგლისი** | | | | |
| პრემიერლიგა. XXXIV ტური | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ლივერპული-ბლექბერნი | 3:1 | არ უთამაშია | 12 თ. 0 გ. |
| **ესპანეთი** | | | | |
| პრიმერა დივიზიონი. XXXII ტური | | | | |
| შოთა არველაძე | ბეტისი-ლევანტე | 0:1 | 9 წთ. (შეცვლაზე) | 3 თ. 0 გ. |
| **იტალია** | | | | |
| სერია A. XXXIII ტური | | | | |
| კახა კალაძე | იუვენტუსი-მილანი | 3:2 | დისკვალიფიკაცია | 22 თ. 0 გ. |
| **შვეიცარია** | | | | |
| სუპერლიგა. XXX ტური | | | | |
| სანდრო იაშვილი | თუნი-ქსამაქსი | 2:1 | არ უთამაშია | 22 თ. 1 გ. |
| **დანია** | | | | |
| სუპერლიგა. XXIII ტური | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | ვიბორგი-ჰორსენსი | - | დღეს | 5 თ. 0 გ. |
| **ავსტრია** | | | | |
| ბუნდესლიგა. XXXIV ტური | | | | |
| გიორგი შაშიაშვილი | შტურმი-ტიროლი | 2:0 | 90 წუთი | 31 თ. 0 გ. |
| ერსტე ლიგა. XXXIII ტური | | | | |
| მირზა ბჟალავა | შვანენშტ.-აუსტრია ლ. | 0:2 | 89 წთ. (შეცვ.), გააფ. პასი | 7 თ. 0 გ. |
| **ჩეხეთი** | | | | |
| გამბრინუს ლიგა. XXV ტური | | | | |
| გიორგი განუგრავა | მლადა-ოსტრავა | ?:? | — | 2 თ. 0 გ. |
| **რუსეთი** | | | | |
| პრემიერ ლიგა. V ტური | | | | |
| გოგიტა გოგუა | ცსკა-სპარტაკი ნ. | 0:1 | 90 წუთი, გააფრთხილეს | 5 თ. 0 გ. |
| დავით სირაძე | ცსკა-სპარტაკი ნ. | 0:1 | 82 წთ. (შეცვალეს) | 5 თ. 0 გ. |
| ალ. ამისულაშვილი | ცსკა-სპარტაკი ნ. | 0:1 | 90 წუთი, გააფრთხილეს | 5 თ. 0 გ. |
| ლევან გვაზავა | ლუჩი-სატურნი | 0:0 | 78 წთ. (შეცვალეს) | 5 თ. 1 გ. |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი-ტერეკი | 2:0 | არ უთამაშია | 0 თ. 0 გ. |
| დავით მუჯირი | ლოკომოტივი-ტერეკი | 2:0 | 7 წთ. (შეცვლაზე) | 2 თ. 0 გ. |
| ლაშა სალუქვაძე | ხიმკი-რუბინი | 0:4 | არ უთამაშია | 3 თ. 0 გ. |
| დავით კვირკველია | ხიმკი-რუბინი | 0:4 | 90 წუთი | 5 თ. 1 გ. |
| ნუკრი რევიშვილი | ხიმკი-რუბინი | 0:4 | ტრავმა | 0 თ. 0 გ. |
| **უკრაინა** | | | | |
| ვიშა ლიგა. XXV ტური | | | | |
| ჯაბა კანკავა | დნიპრო-შახტარი | 1:3 | 56 წთ. (შეცვალეს) | 19 თ. 3 გ. |
| ალექსანდრ კობახიძე | დნიპრო-შახტარი | 1:3 | არ უთამაშია | 1 თ. 0 გ. |
| გიორგი დემეტრაძე | ჩერნომორეცი-არსენალი | 0:1 | არ უთამაშია | 18 თ. 3 გ. |
| ლადო ბურდული | ხარკოვი-ზარია | 0:1 | 80 წთ. (შეცვალეს) | 17 თ. 0 გ. |
| გიორგი ციმაკურიძე | ხარკოვი-ზარია | 0:1 | 1 წთ. (შეცვლაზე) | 1 თ. 0 გ. |
| კახა ალადაშვილი | ხარკოვი-ზარია | 0:1 | ტრავმა | 15 თ. 0 გ. |
| ლაშა ჯაკობია | კარპატი-ვორსკლა | 1:2 | არ უთამაშია | 3 თ. 0 გ. |
| **კვიპროსი** | | | | |
| A დივიზიონი. III რაუნდი | | | | |
| ლევან ქებაძე | ეთნიკოსი-აპოპ | 2:2 | 90 წუთი | 10 გ. |
| ლევან მაღრაძე | აპოლონი-ენოსისი | 4:1 | არ უთამაშია | 0 გ. |
| კობა წიტაიშვილი | ანორთოსისი-ომონია | 0:0 | 66 წთ. (შეცვალეს) | 2 გ. |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ტატიშვილმა ნახევარფინალში წააგო



18 წლის **ანა ტატიშვილმა** (293) წლეულს საუკეთესო შედეგი ამერიკულ ჯექსონში აჩვენა, სადაც მცირე საერთაშორისო ტურნირი (25 ათასი დოლარი) დასრულდა. ანამ ტურნირის ნახევარფინალამდე გააღწია. პირველ წრეში მან ამერიკელი, საკვალიფიკაციო წრიდან გასული, **კრისტიან თომპსონი** დაამარცხა – 6:1, 6:2, მერვედფინალში ჩვენებური გერმანელ **კარმენ კლაშკას** (ასევე საკვალიფიკაციო ბადიდან გასული) უგებდა, როცა ამ უკანასკნელმა თამაში შეწყვიტა – 6:7, 7:6, 3:0. მეოთხედფინალში ანამ ტაივანელ **ჩინ-ვეი ჩანს** აჯობა – 6:3, 6:4. დაუმარცხებელი არც არგენტინელი **სოლედად ესპერონი** ჩანდა, მაგრამ ესპერონი თიხნარის სპეციალისტად ითვლება, ჯექსონში კი ტურნირი სწორედ თიხნარის კორტებზე გაიმართა. სამსეტიანი ბრძოლა, სამწუხაროდ, ქართველის მარცხით დასრულდა – 2:6, 6:4, 2:6. სხვათა შორის, ამავე ტურნირის წყვილთა თანრიგშიც ანას წარმატებისკენ გზა ესპერონმა გადაუკეტა. დღეისათვის ტატიშვილს 82 სარეიტინგო ქულა აქვს, ამ კვირაში მას არაფერი მოაკლდება, სამაგიეროდ, თუ მოესწრო, ორშაბათის რეიტინგში მას ჯექსონში მოპოვებული 12 ქულა დაემატება და მსოფლიო კლასიფიკაციაში ქართველი 20 ადგილით წაიწევს წინ.

# ჩახნაშვილმა დაასრულა

საქართველოს პირველი ჩოგანი **მაკა ჩახნაშვილი** (186) საფრანგეთის ქალაქ სან მალოში 125-ათასიან ტურნირში თამაშობდა. მაკა საკვალიფიკაციო ბადეში მესამე ნომრად განთესეს. პირველ წრეში ქართველი ჩოგბურთელი ისვენებდა, მეორეში მისი მეტოქე ჩინელი **ქსინიან ჰანი** იყო. ჩვენთვის მოულოდნელად, მაკამ იოლად დათმო ორთაბრძოლა – 2:6, 2:6.

ამერიკულ პალმ ბიჩში 25-ათასიანი საჩოგბურთო ტურნირი იწყება. საკვალიფიკაციო ბადეში 21 წლის **სალომე დევიძეა**, რომელიც მე-16 ნომრად განთესეს. პირველ წრეში მისი მეტოქე ამერიკელი **მარია ბელაია** იქნება. ტურნირის ძირითად ბადეში **ანა ტატიშვილი** ითამაშებს.

თურქეთის კურორტ ბელეკში წლის მესამე მცირე ტურნირი (10 ათასი დოლარი) იწყება. საკვალიფიკაციო ბადეში ქართველებმა წარუმატებლად ითამაშეს. პირველ წრეში **ნათია შარანგიამ** რუსი **ინა ხარიტონჩიკი** გაანადგურა – 6:0, 6:2, მაგრამ მეორე წრეში მას ანალოგიური ბედი ეწია გერმანელ **კატრინ შმიდტთან** ბრძოლაში – 1:6, 1:6. მეორე წრეში ეგრევე წააგო **სალომე უგრეხელიძემ**, რომელიც პირველში ისვენებდა, მან მაკედონიელ **ალექსანდრა ჯოსიფოსკას** გეიმიც ვერ მოუგო – 0:6, 0:6. მეორე წრე მხოლოდ **თეონა ცერცვაძემ** გადალახა, რომელიც უგრეხელიძის მსგავსად პირველში ისვენებდა, მან რუს **დარია ბიკოდაროვას** მოუგო – 6:2, 6:0. თეონა ცერცვაძე მესამე წრეშია, სადაც გერმანელ **ელისა პეტს** შეხვდება.

# გორგოძე პირველთან დამარცხდა

საფრანგეთის ქალაქ კაპ დაილში ახალგაზრდულ საერთაშორისო ტურნირი დასრულდა, რომელიც მეორე კატეგორიისაა. შეჯიბრებაში კარგად ითამაშა 16 წლის **ეკა გორგოძემ**, რომელმაც ჯერ საკვალიფიკაციო ბადე მოიგო, შემდეგ კი ძირითადში ორი წრე გაიარა და მხოლოდ მეოთხედფინალში დამარცხდა ტურნირის პირველ ჩოგან რუმინელ **ანა ბოგდანთან**, რომელიც ახალგაზრდულ მსოფლიო რეიტინგში მე-10 ადგილზეა – 2:6, 6:2, 2:6. შეგახსენებთ, რომ გორგოძე ახალგაზრდულ რეიტინგში 386-ე პოზიციაზეა. ამავე ტურნირის ძირითად ბადეში ბიჭებში **ლაზარე კუხალაშვილმაც** გააღწია (საკვალიფიკაციო ბადეში სამი ორთაბრძოლა მოიგო), მაგრამ ლაზარე პირველ რაუნდში ფრანგ **კონსტანტინ ბელოსთან** დამარცხდა – 5:7, 4:6. ლაზარე კუხალაშვილი 17 წლისაა, ის ახალგაზრდულ ასპარეზზე მსოფლიოს 368-ე ჩოგანია, არადა შარშან 36-ე იყო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სროლა. მსოფლიო თასი

# ფინალში ვერ გავიდა

შაბათს **ნინო სალუქვაძემ** წარუმატებლად ისროლა პეკინში, მსოფლიო თასის გათამაშებაზე პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში - ფინალში ვერ მოხვდა და 12-ე ადგილზე გავიდა. ჩვენმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა საკვალიფიკაციო ეტაპზე საკმაოდ სუსტად იასპარეზა და მხოლოდ 383 ქულა დააგროვა, ფინალურ ოქტეტში მოსახვედრად კი, მინიმუმ, ერთით მეტი სჭირდებოდა. ეს მით უფრო საწყენია, რომ ფინალში საუკეთესო შედეგით 386-იანები შევიდნენ, ანუ საერთო შედეგებიც დაბალი იყო.

თავად ტურნირიც მეტად უცნაური გამოდგა, ლიდერთა შემმუსრავი. თავად განსაჯეთ - ჩემპიონი საშუალო დონის ფრანგი მსროლელი **სტეფანია ტიროდე** გახდა, რომელმაც შესარჩევში 386,3 დააგროვა, რასაც ფინალში სრული 100 ქულა დაუმატა და ჩემპიონობა 486,3-ით მოიპოვა. ვერცხლს უნგრელი **სოფია ჩონკა** დაეუფლა, ვინც ფინალში უცუდესი მაჩვენებლით - 384-ით შევიდა, მაგრამ იქ 101,4 დაუმატა და 485,4 დააგროვა. ბრინჯაო დიდი ხნის შემდეგ მასპინძელთა გუნდში დაბრუნებულმა ჩინელმა მსოფლიო ჩემპიონმა **ჯი რენიმ** (ჯამში - 485,1) მოიპოვა, რომელიც ოლიმპიურ გუნდში მოხვედრასაც ეცდება. მოგეხსენებათ, ოლიმპიადის მასპინძელ ჩინელებს ლიცენზიები არ სჭირდებათ და ნაკრების შემადგენლობა შიდა კონკურენციაში გადაწყდება. ხუთეულში მოხვდნენ აგრეთვე ავსტრალიელი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ლოლიტა იევლევსკაია** (483,5), რომელიც ასევე ხანგრძლივი პაუზის შემდეგ გამოჩნდა, და სერბი მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **იასნა სეკარიჩი** (483,4).

გუშინ **ლევან ქადაგიძემაც** ისროლა ასევე პნევმატურში, 557 ქულა დააგროვა და 83 მონაწილეს შორის 77-ზე გავიდა. შეგახსენებთ, რომ ჩვენს გუნდში მხოლოდ ეს ორი მონაწილეა - სალუქვაძე და ქადაგიძე. სალუქვაძე სპორტული პისტოლეტიდანაც ისვრის - 16-ში. შეგახსენებთ, რომ ეს ტურნირი ოლიმპიური კვირეულის პროგრამაში შედის და ოლიმპიურ სასროლეთზე ტარდება. ამდენად, სალუქვაძეს შედეგების მხრივ თუ არა, ადაპტაციისთვის მაინც ძალიან გამოადგება.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი. დევისის თასი

# სექტემბერში, ადგილის შესანარჩუნებლად

სასწაული არ მოხდა - საქართველოს ნაკრებმა ბრატისლავაში 1:4 წააგო სლოვაკეთის ნაკრებთან „დევისის თასის" მატჩში და ახლა 19-21 სექტემბერს ევროპა-აფრიკის პირველ ზონაში ადგილის შესანარჩუნებლად ბრძოლა მოუწევს. ჯერჯერობით უცნობია ჩვენი მეტოქის ვინაობა, ივლისში პოლონეთისა და ბელარუსის ნაკრებები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს და მათში დამარცხებულს ჩვენთან მოუწევს თამაში. თუმცა ერთი სასიხარულო ამბავი მაინც დაგვიტოვა ბრატისლავურმა მატჩმა, ჩოგბურთს 26 წლის **ირაკლი ლაბაძე** დაუბრუნდა.

სლოვაკეთ-საქართველოს მატჩი შაბათს წყვილთა თანრიგის შეხვედრით განახლდა. იმ შემთხვევაში თუ ჩვენები მოიგებდნენ, მსოფლიო ჯგუფის პლეიოფის საგზურისთვის ბრძოლაში ფავორიტები ვხდებოდით. თუმცა ქართულ დუეტს, რომელსაც აქამდე ერთმანეთისთვის უცნობი ირაკლი ლაბაძე და **ნოდარ ითონიშვილი** წარადგენდნენ, სერიოზული, გამოცდილი წყვილი დაუპირისპირდა. ლაბაძე წინა დღით ჩოგბურთში ხუთსაათიანი ტრიუმფული მარათონით დაბრუნდა, ითონიშვილს ამ დონეზე თამაშის არანაირი გამოცდილება არ აქვს. არადა, **მიხალ მერტინაკი** წყვილთა თანრიგის სპეციალისტად ითვლება, მსოფლიოს 46-ე ჩოგანია, ის სწორედ ამ ცენტრში ვარჯიშობს ყოველდღიურად. მისი მეწყვილე **ფილიპ პოლაშეკი** ნაკლებად გამოცდილია, თუმცა წყვილთა თანრიგის მსოფლიოს ტოპ ასეულში ისიცაა (82). ბრძოლა სლოვაკებმა საკმაოდ იოლად მოგვიგეს – 3:6, 3:6, 5:7 და მატჩში 2:1 დაწინაურდნენ.

გუშინ მატჩის გადარჩენა ნოდარ ითონიშვილს შეეძლო, თუმცა ის თავს ზემოთ ვერ ახტა – **ლუკაშ ლაჩკოსთან**, რომელთანაც რეიტინგში ათასეულზე მეტი აშორებს, სამივე სეტი დათმო – 3:6, 1:6, 3:6. მატჩის ბედი აქ გადაწყდა, სლოვაკეთის ნაკრები 3:1 დაწინაურდა. ამის შემდეგ ლაბაძის თამაშს აზრი აღარ ჰქონდა, ისევე, როგორც - **დომინიკ ჰრბატისას**. ასე რომ, ბოლო მატჩში ერთმანეთის პირისპირ ფილიპ პოლაშეკი **რევაზ ოსაძე** დადგნენ. მხარეებმა დათქვეს, რომ ამ შეხვედრის მოგება ორ სეტამდე ყოფილიყო. ამიტომაც, პოლაშეკის და ოსაძის მატჩი მალევე დასრულდა, სამწუხაროდ, ჩვენი დებიუტანტი უშანსოდ იყო – 0:6, 4:6. სლოვაკეთის და საქართველოს მატჩი მასპინძელთა გამარჯვებით, 4:1 დასრულდა – სლოვაკეთი მსოფლიო ჯგუფის პლეიოფშია.



ირაკლი ლაბაძე ბრატისლავაში

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კრივი. სალიცენზიო ტურნირი

# ფინალები დავთმეთ, ლიცენზიები დაგვრჩა



კახა ჟვანია



ნიკოლოზ იზორია

საქართველოს მოკრივეთა ეროვნულმა ნაკრებმა საბერძნეთის დედაქალაქში ევროპისათვის განკუთვნილი უკანასკნელი სალიცენზიო ტურნირი წარმატებით მოიტოვა უკან. მსოფლიო ჩემპიონატსა და იტალიურ ტურნირზე ხელმოცარვის შემდეგ, ჩვენ მოკრივეებს ათენში უკანასკნელი შანსი ჰქონდათ და თუკი აქამდე 1 ლიცენზიაც სანატრელი გვქონდა, საბერძნეთში ერთბაშად 2 ოლიმპიურ საგზურს შევწვდით.

გადამწყვეტი დღე პარასკევს იყო, როდესაც სამ ქართველს ჰქონდა ლიცენზიის მოპოვების შანსი. კონკრეტულად, ნახევარფინალში იყვნენ **ნიკოლოზ იზორია** (57 კგ), **კობა ფხაკაძე** (60) და **კახა ჟვანია** (69). ამათგან იზორიასა და ფხაკაძეს ლიცენზიებისთვის მხოლოდ ფინალში გასვლა აძლევდათ ხელს, ხოლო ჟვანიას წაგების შემთხვევაშიც რჩებოდა შანსი, რადგან ასეთ ვარიანტში პეკინის საგზურისთვის მეორე ნახევარფინალისტს ეჩხუბებოდა.

საბოლოოდ, ფხაკაძემ ფრანგ დუდა სოუისთან 10:20 წააგო და მართალია, ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, მაგრამ ლიცენზიას ვერ შესწვდა. სამაგიეროდ, სანუკვარ მიზანს მიაღწიეს იზორიამ და ჟვანიამ. ნიკამ შვედი ბაშირ ჰასანი დაამარცხა (18:5), ხოლო კახამ - სომეხი სამველ მატეოსიანი - 16:8.

წინ რჩებოდა ფინალური შეხვედრები, რომელთა მოგებაც ოდენ პრესტიჟის საქმე იყო. აღსანიშნავია, რომ ფინალში იზორიას მეტოქე გახლდათ იტალიელი ალესიო დი სავინო, რომელმაც პესკარას ტურნირზე კობა ფხაკაძე დაამარცხა (მაშინ ფხაკაძე 57 კილოგრამში გამოდიოდა. საათენოდ ნაკრების თავკაცმა **თენგიზ მესხაძემ** ფხაკაძე 60 კილოგრამში აწია, იზორიამ კი 54-დან 57-ში აინაცვლა). მართალია, იზორიამ ფხაკაძის ჯავრი ვერ იყარა და 13:18 დამარცხდა, მაგრამ რაკიღა ლიცენზია უკვე ჯიბეში ედო, ამას უკვე დიდი მნიშვნელობა აღარც ჰქონდა. იგივეს თქმა შეიძლება ჟვანიაზე, რომელმაც ფინალი ტრავმის გამო მესამე რაუნდში დათმო ფრანგ **ჟაოიდ ჩიგესთან.**

ამრიგად, ფოთელი მოკრივეები ოლიმპიადის ლიზენციანტები გახდნენ და ახლა მშვიდად შეუძლიათ პეკინისთვის მზადება. იზორია ზედიზედ მეორედ წარდგება ოლიმპიურ თამაშებზე, ჟვანიას კი პეკინში დებიუტი ექნება. აქვე ისიც აღვნიშნოთ, რომ ამჟამად ნაკრების ყველაზე ტიტულოვანი წევრები სწორედ ნიკა და კახა არიან. ჟვანია შარშანწინ ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა, იზორიას კი კონტინენტის პირველობაზე 2004 წელს ვერცხლის მედალი აქვს მოპოვებული.

ტურნირის დასრულების შემდეგ, ათენში საქართველოს კრივის ფედერაციის გენერალურ მდივან **ვლადიმერ ახალკაცს** შევეხმიანეთ, რომელიც ემოციებს ვერ მალავდა.

- ფოთის საკრივო სკოლის წარმომადგენლებმა - ნიკოლოზ იზორიამ და კახა ჟვანიამ უზომოდ გაგვახარეს. ათენში ევროპელ მოკრივეებს ბოლო შანსი ჰქონდათ, რომ პეკინს მიღმა არ დარჩენილიყვნენ და ჩვენს მსგავსად, ყველა კბილებით იცავდა ამ შანსს. ცალკეული მოკრივეების გამორჩევა არ მიყვარს, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნო იზორიას პირველი ჩხუბი ბულგარელ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონ ალექსი შაიდულინთან. ნიკამ პირდაპირ გადაუარა მრისხანე მეტოქეს და მესამე რაუნდში მსაჯებს ბრძოლა შეაწყვეტინა. ისე, იზორია აქამდე 54 კილოგრამში გამოდიოდა და მისმა 57 კილოგრამში აწევამ აშკარად გაამართლა...

როგორც უკვე გითხარით, წინა სალიცენზიო ტურნირზე მსაჯებმა გვარიანად დაგვჩაგრეს, რის გამოც ევროპისა და საერთაშორისო კრივის ფედერაციების ხელმძღვანელებთან მწვავე საუბარი გვქონდა. შედეგად მივაღწიეთ იმას, რომ ათენში ჩვენს მიმართ მსაჯობა ობიექტური ყოფილიყო. საბედნიეროდ, გაგვიმართლა წილისყრაშიც და საბოლოოდ, ორ ლიცენზიას შევწვდით. ყველა მოკრივეს მივეცით კონკრეტული დავალება, რასაც მთლიანობაში, ბიჭებმა თავი კარგად გაართვეს.

იყო მესამე ლიზენციის მოპოვების შანსიც, მაგრამ სამწუხაროდ, კობა ფხაკაძე ნახევარფინალში დამარცხდა. თუმცაღა, რა თქმა უნდა, ჩვენთვის 2 ლიცენზიაც უკვე დიდი წარმატება და გამარჯვებაა. ბოლო ხანს გუნდს ჰქონდა ჩავარდნა, რაც ძალიან გვაშფოთებდა. თუმცა, წამითაც არ გავტეხილვართ. სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური და ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი პეტრე ცისკარიშვილი მაქსიმალურად ამოგვიდგნენ მხარში, დაფინანსება გაგვიზარდეს და ასე ერთიანი სულისკვეთებით მივაღწიეთ მიზანს. ვიმედოვნებ, ეს იქნება ქართული კრივის აღორძინების დასაწყისი. სიტყვებით ვერ აგიღწერთ, რა ხდება ახლა ჩვენს ბანაკში. ყველა უზომოდ გახარებულები ვართ. ჩვენს სიხარულს იზიარებენ უცხოელებიც, რომლებიც მოდიან და გვილოცავენ...

**კობა ხატისაშვილი**

ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი

# მომავალ შეხვედრამდე, თბილისში!



დავით ქევხიშვილის საფინალო ილეთი

**საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა ლისაბონში, ევროპის ჩემპიონატზე ოქროს 1 და ბრინჯაოს 3 მედალი მოიპოვა. კონტინენტის ჩემპიონი ზედიზედ მესამედ გახდა ზაზა კედელაშვილი (66), ნესტორ ხერგიანი (60), დავით ქევხიშვილი (73) და ირაკლი ცირეკიძე (90) მესამეზე გავიდნენ.**

არ გამართლდა ნაკრების მწვრთნელის **შოთა ხაბარელის** ვარაუდი იმის თაობაზე, რომ შარშანდელ შედეგს რაოდენობრივად ვერა, მაგრამ ხარისხობრივად მაინც გააუმჯობესებდნენ. შეგახსენებთ, რომ შარშან, ბელგრადში 1 ოქრო, 3 ვერცხლი და 1 ბრინჯაო მოვიპოვეთ, თუმცა გუნდი ამჯერადაც სტაბილურად გამოვიდა. უმედლოდ დარჩენილთაგან მძიმეწონოსანი **ლაშა გუჯეჯიანი** მეხუთეზე გავიდა, **გიორგი ბაინდურაშვილი** (81) - მეშვიდეზე. ამჯერად შვიდეულში მხოლოდ **ლომერ ჟორჟოლიანი** (100) ვერ მოხვდა. არადა, შარშან შვიდივე შვიდეულში შევიდა.

წარმატებებს მიჩვეული ქომაგი ახლა კიდევ უფრო უკეთეს შედეგს ელოდა, თუმცა შარშანდელი ტრიუმფალური მიღწევის გაუმჯობესება რომ უძნელესი საქმე იქნებოდა, ყველამ ვიცოდით. მთავარი ისაა, რომ გუნდი სტაბილურობას ინარჩუნებს, ეს წაგებები კი საოლიმპიადოდ გამოაფხიზლებთ კიდეც. გუნდი რამდენიმე დღეში ოლიმპიადისთვის საგანგებო მზადებას შეუდგება და სეზონის უმნიშვნელოვანესი ტურნირისთვის სრული დატვირთვით ივარჯიშებს.

საბოლოოდ, ნაკრების გამოსვლა წარუმატებელი ნამდვილად არაა - შვიდიდან ოთხი მედალი არაა ცოტა, აი, ხარისხზე კი შეიძლება კამათი. არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში ჩვენები მხოლოდ ჰოლანდიელებს ჩამორჩნენ და მეორეზე გავიდნენ. თუმცა ლისაბონში ჩვენთვის საინტერესო სხვა რამეც მოხდა - საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა **დილარ ხაბულიანმა** ოფიციალურად ჩაიბარა ევროპული ფედერაციის დროშა - გაისად ხომ ევროპის ჩემპიონატს თბილისი უმასპინძლებს.

ისე მოხდა, რომ ლისაბონში სამივე დღეს მოვიპოვეთ მედლები, თუმცა პირველი დღის მოოქროვილი სტარტი ისეთივე წარმატებით ვერ გავაგრძელეთ და მომდევნო დღეებში თითო ბრინჯაოს დავჯერდით.

ჯერ – დავით ქევხიშვილზე, რომელიც ვერც ამჯერად მოერია უმთავრეს მეტოქეს - არასტაბილურობას. დავითი როგორღაც უიღბლო თუ უცნაური ბედის მოჭიდავეა. თანაგუნდელები მას კარგ ფსიქოლოგად ახასიათებენ, რომელსაც მშვენივრად ეხერხება სხვათა განწყობა, მაგრამ საოცარია, საკუთარი თავის განწყობას რატომ ვერ ახერხებს. იგი ტურნირს მუდამ კარგად იწყებს, მთლიანობაში, სტაბილურ მოჭიდავედაც იქცა და ტურნირიდან უმედლოდ იშვიათად ბრუნდება, მაგრამ ერთ აუხსნელ მარცხს ყოველ ტურნირზე გამოურევს.

ეს უსიამოვნო ტრადიცია ახლაც გაგრძელდა და ფრანგი **ფერნანდესის** დამარცხების მერე უფრო სუსტ ესპანელ **კიოში უემაცუსთან** წააგო. ქევხიშვილი მასზე ძლიერი მოჭიდავეა და შარშან მსოფლიოზეც ძალზე დამაჯერებლად მოუგო. უემაცუ რომ განსაკუთრებულად ძლიერი არაა, ეს იმითაც ჩანს, რომ ლიცენზია ვერ მოიპოვა. პირდაპირ საცოდაობაა - ქევხიშვილს ფრანგთა ნაკრების ლიდერი, პირდაპირ შეიძლება ითქვას, დაბრიყვებული ჰყავს, ამ დროს კი მისი ბედისწერა უემაცუ ხდება!

ქევხიშვილმა დანიელ ფერნანდესს ახლაც მოუგო და განა უბრალოდ - იპონით! მანამ მთლად ასე არ გაუნადგურებია, მაგრამ დამაჯერებლად მოუგო ბულგარელ ოლიმპიურ პრიზიორ **გეორგ გეორგიევს** - ჯერ კოკაზე დასცა და მალევე გააფრთხილებინა კიდეც. სულ პირველ შეხვედრაში კი იტალიელი **მარკო მადალონი** დააიპონა. აი, სწორედ ამას მოჰყვა უემაცუსთან ქულებით მარცხი. არადა, ამ დროს გავარდნილი იყო წონის აშკარა ფავორიტი - აზერბაიჯანელი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ელნურ მამადლი**, რომელიც ფერნანდესთან დამარცხდა.

ჩვენებურმა დამამშვიდებლის ფინალში ბრწყინვალედ დააიპონა ჩეხი **იარომირ იეჟეკი** და კარიერაში მესამედ მოიპოვა ბრინჯაო. ქევხიშვილმა თავისთვის ორი კარგი საქმე მაინც გააკეთა - ულიცენზიოდ დატოვა ფერნანდესი და გეორგიევი. სხვათა შორის, ფერნანდესის უსაგზუროდ დატოვება მთლიანად მისი დამსახურებაა - მსოფლიოზეც მოუგო და ახლაც. როგორც გითხარით, ულიცენზიოდ დარჩა უემაცუც. ასევე - უნგრელი ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი **აკოშ ბრაუნი**, ებრაელი ევროპის ორგზის ვიცე-ჩემპიონი **იოელ რაზვოზოვი** და იტალიელი **მარკო მადალონი**. ბუნებრივია, იქ ძლიერი მეტოქეები არ დაილევიან, მაგრამ ამათი სახით რომ სერიოზულ კონკურენტთა ჯგუფი გამოაკლდა, ფაქტია.

ლისაბონში **ირაკლი ცირეკიძე** საჩემპიონოდ ჩავიდა. მას წილისყრამაც გაუმართლა და ნახევარფინალამდე სერიოზული მეტოქე არავინ ხვდებოდა, იქ კი იმასთან წააგო, ვინც ხაბარელმა ჯერ კიდევ ხუთშაბათ საღამოს, წილისყრის დამთავრებისას სხვათაგან გამოარჩია აზერბაიჯანელ **ელხან მამადოვთან**. როცა მას კომენტარისთვის შევეხმიანეთ, მამადოვი ერთ-ერთი უძლიერეს კონკურენტად მოიხსენია. არადა, ერთი შეხედვით, ის გადაულახავი ზღუდე არ უნდა ყოფილიყო - ცირეკიძემ მას შარშან მსოფლიოზეც მოუგო და თბილისის წლევანდელ ტურნირზეც, მაგრამ მწვრთნელისაც გასაგებია. ჩვენი ტურნირის შემდეგ აზერბაიჯანელმა ბევრად მოუმატა და ხაბარელი მის პროგრესს ყველა შეჯიბრებაზე ხედავდა. მამადოვი სალიცენზიო რეიტინგში აქამდეც ხომ მეხუთეზე იყო, ახლა სულაც პირველზე ისკუპა. აშკარაა, ის ალმავლობის გზაზეა, თუმცა ჯერ საოლიმპიადოდ დაკარგული არაფერია. იქამდე საკმაო დროა, ნაკრები თამაშებისთვის საგანგებო, გაძლიერებულ მზადებას იწყებს და ცირეკიძეც მოუმატებს. ფაქტია ისიც, რომ მან ამ ტურნირისთვის მოსამზადებელ ციკლშიც ბევრად მოუმატა - მისი გამოსვლა რადიკალურად განსხვავდებოდა იმისგან, რაც თუნდაც თბილისის ტურნირზე ვიხილეთ, თუმცა მის გამოსვლაში ერთი რამ მაინც სიმპტომურად მოგვეჩვენა - ლიხტენშტაინელ **მირკო კაიზერს** და უკრაინელ **დმიტრი მარკოვს**, ანუ შედარებით გამოუცდელებს ორ-ორი ვაზარი აართვა და წმინდად მოუგო, აი, ძლიერებთან კი გაუჭირდა. ყოველ შემთხვევაში, ფრანგ **მეტიუ დეფრევილთან** და ბრინჯაოსთვის ბრძოლაში იტალიელ **რობერტო მელონისთან** თითო ვაზარ-იუკო მიითვალა და მთლად წმინდად ვერ გაიმარჯვა.

ბრინჯაოს მედალთან ძალზე ახლოს მივიდა მძიმეწონოსანი **ლაშა გუჯეჯიანიც**, მაგრამ დამამშვიდებლის ფინალში ფრანგ მსოფლიოს პრიზიორ **პიერ რობენთან** იპონით წააგო და მეხუთეზე გავიდა. პირველ წრეში მან ორი ვაზარით სუფთად დაამარცხა გერმანელი **ფაბიან ჰუბერტი**, მერე სლოვენიელ **მატიაჟ სერაის** ვაზარით აჯობა, მესამეში კი ძალზე სერიოზულ მეტოქეს აჯობა - პოლონელ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ **იანუშ ვოინაროვიჩს**, თუმცა იტალიელ **პაოლო ბიანკესისთან** ვერაფერს გახდა. არადა, გუჯეჯიანმა აპენინელი 2005-ის მსოფლიო პირველობაზე ბრინჯაოსთვის ბრძოლაში დაამარცხა. სამწუხაროდ, დამამშვიდებლის ფინალში რობენი სრულ უპირატესობას ფლობდა - შეხვედრის დაწყებიდან მალლევე ჩვენებური ჯერ ვაზარზე დააგდო, ბოლოს კი ბეჭებზე დააწვინა. ლაშას ზედმეტი წონა შეკრებაზეც აწუხებდა და მოძრაობა ტატამზეც უჭირდა. ამჯერად ფიზიკურად ვერ იყო ფორმაში. არადა, შარშან ევროპული ვერცხლიც და მსოფლიოს ბრინჯაოც, მნიშვნელოვანწილად, ამის ხარჯზე მოიგო. ვფიქრობთ, ესეც გამოსწორებადი ნაკლია და საოლიმპიადო მზადების ციკლში შარშანდელივით გულმოდგინედ გაირჯება.

**გიორგი ბაინდურაშვილმა** ზუსტად გაიმეორა შარშანდელი შედეგი - ისევ მარცხი მეოთხედფინალში და ისევ მეშვიდე ადგილი. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ამჯერად მომავალ ჩემპიონთან, პორტუგალიელ **ჟოაო ნეტოსთან** წააგო, ვისაც შარშან ევროპაზე მერვედფინალში მოუგო. ბაინდურაშვილმა ლისაბონში ორი შეხვედრა მოიგო - უკრაინელ **არტემ ვასილენკოსთან** და ჩერნოგორიელ **სრდიან მრვალიევიჩთან**.

ამჯერად ჩვენი ნაკრებიდან ყველაზე ცუდად **ლომერ ჟორჟოლიანი** გამოვიდა, თუმცა მისი გამოსვლა მაინც დადებითად უნდა შევაფასოთ, რადგან შემთხვევით მოჭიდავეებთან არ წაუგია - ძირითადში ფრანგ ევროპის ჩემპიონ **კრისტოფ იუმბერთან** დამარცხდა, სანუგეშოში - ბრიტანელ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ **პეტერ გუსინსთან**. ლომერი ჯერ კიდევ გამოუცდელია და კვლავაც ბევრის სწავლა მართებს, რისთვისაც ასეთი წაგებები მისწრებაა. მით უფრო, ისეთი მნიშვნელოვანი ტურნირის წინ, როგორიც ოლიმპიადაა. ვიმეორებთ - მან ძლიერ ფალავნებთან წააგო, თუმცა უდავოა, მის მომზადებას დალს ბოლო შეკრებაზე მიღებული მუხლის ტრავმაც დაატყობდა. ზემოაღნიშნული ორი წაგების წილ, მან ორი მოგებაც მიითვალა - დასაწყისში რუმინელ **დანიელ ბრატასთან** და სანუგეშოში შვეიცარიელ **დომინიკ ჰიშირისთან**. თან, ორივესთან იპონით.

**ამით ევროპის პირველობა ზუსტად ერთი წლით დაგვემშვიდობა და ჩვენც ისლა დაგვრჩენია, ვქვათ - მომავალ შეხვედრამდე, გაისად, თბილისის სპორტის სასახლეში, თუმცა მანამ ოლიმპიადაა, მთელი სპორტული სამყაროსთვის უმნიშვნელოვანესი ტურნირი.**

ირაკლი თავაძე

| 73 კგ. |
|---|
| 1. დირკ ვან ტიხელტი (ბელგია) |
| 2. კიოში უემაცუ (ესპანეთი) |
| 3. დავით ქევხიშვილი (საქართველო) |
| 3. აკოშ ბრაუნი (უნგრეთი) |
| **81 კგ.** |
| 1. ჟოაო ნეტო (პორტუგალია) |
| 2. გიიომ ელმონტი (ჰოლანდია) |
| 3. ჯუზეპე მადალონი (იტალია) |
| 3. მაკალაი ბარკოუსკი (ბელარუსი) |
| 7. გიორგი ბაინდურაშვილი (საქარ.) |
| **90 კგ.** |
| 1. მარკ ჰუზინგა (ჰოლანდია) |
| 2. ელხან მამადოვი (აზერბაიჯანი) |
| 3. ირაკლი ცირეკიძე (საქართველო) |
| 3. ანდრეი კაზუსიონაკი (ბელარუსი) |
| **100 კგ.** |
| 1. ჰენკ გროლი (ჰოლანდია) |
| 2. პრზემისლავ მატიაშეკი (პოლონ.) |
| 3. არიელ ზეევი (ისრაელი) |
| 3. ბენიამინ ბერლა (გერმანია) |
| **+100 კგ.** |
| 1. ტამერლან ტმენოვი (რუსეთი) |
| 2. პაოლო ბიანკესი (იტალია) |
| 3. პიერ რობენი (საფრანგეთი) |
| 3. ევგენი სოტნიკოვი (უკრაინა) |

ჭადრაკი

# ვერდიქტი

შაბათს, ჭადრაკის ფედერაციაში, გამგეობის სხდომა გაიმართა. შეგახსენებთ, წინა შაბათს, გამგეობის სხდომამ უარყოფითად შეაფასა ფედერაციის მუშაობა და შესაბამისი კომისია შექმნა, რომელიც ფედერაციის მოღვაწეობას სრულიად შეისწავლიდა. ამ კომისიის თავმჯდომარემ, **თამაზ გიორგაძემ** გაწეული სამუშაოს ანგარიში წარმოადგინა, რის შედეგადაც თვალნათელი გახდა **რომან სიჭინავასა** და მისი გუნდის დანაშაულებრივი საქმიანობა.

მაგალითად: ერთ-ერთმა ვიცე-პრეზიდენტმა, დიდოსტატმა **გიორგი ყაჭეიშვილმა** ისარგებლა ფიქტიური ტურნირის მოწყობით, სადაც 21 პუნქტი დაიკლო, რის გამოც ამა წლის თებერვალში, მოსკოვში, ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირ "აეროფლოტ-ოუფენზე" მეორე კატეგორიის ჯგუფში თამაშის უფლება მიილო. საქმე ის არის, რომ უძლიერეს ჯგუფში წარმატების იმედი არ ჰქონდა, შედარებით სუსტ ჯგუფში კი გამარჯვება ხელეწიფებოდა და გათვლაც ამაზე იყო.

**ვაჟა შუბლაძე** (გამგეობის წევრი): - ფაქტია, ფედერაცია სათანადო სამსახურისთვის აბსოლუტურად მოუმზადებელი აღმოჩნდა: უამრავი დარღვევაა, წესდების უგულებელყოფა, საბუღალტრო გადაცდომები. ბუღალტერს არ უნდა ჰქონდეს უფლება სალაროდან თანხა შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის გარეშე გასცეს. ასეთი მაგალითები კი უხვად იყო.

**ზურაბ აზმაიფარაშვილი** (გამგეობის წევრი): - ფედერაციის წესდება 2007 წლის 6 თებერვალს კანონდარღვევით, გამგეობის დასტურის გარეშე, წარმოდგენილი და დამტკიცებული იქნა საქართველოს საგადასახადო სამსახურში. ასეთი ქმედება ყოვლად დაუშვებელია...

საბოლოოდ გამგეობა მივიდა იმ აზრამდე, რომ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელობას შეწყვეტოდა უფლებამოსილება. მათი მუშაობა შეფასდეს უაღრესად არადამაკმაყოფილებლად და განისაზღვროს დამნაშავეთა დასჯის მეთოდები. ამ საკითხზე ჯერჯერობით ვერ შეთანხმდნენ და საბოლოო დასკვნას გამგეობის უახლოეს სხდომაზე გააკეთებენ, რომელიც 18 აპრილს შედგება.

უახლოესმა გამგეობის სხდომამ უნდა დაადგინოს რიგგარეშე ყრილობის ჩატარების ვადები, იქამდე კი ფედერაციის საქმიანობა უნდა წარმართოს ქალბატონმა **თამარ ხმიადაშვილმა**. ამასთან, დაისვა კონკრეტული საკითხებიც: ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციასა (FIDE) და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტში გაიგზავნოს შეტყობინება: დაკმაყოფილდეს **რომან სიჭინავას** განცხადება, დაკავებული თანამდებობიდან წასვლის თაობაზე. ვიცე-პრეზიდენტებს - **გიორგი ყაჭეიშვილს** და **კახა შალამბერიძეს** აეკრძალოთ ქართულ ჭადრაკში აქტიური მუშაობა. ვერდიქტი საბოლოოდ ფორმირებული არ არის, მაგრამ, სავარაუდოდ, ყაჭეიშვილსაც და შალამბერიძესაც დელეგატის სტატუსს, შალამბერიძეს კი სარეიტინგო ტურნირების ჩატარების უფლებას ჩამოართმევენ. არანაკლები სასჯელი ელით სხვებსაც, მხოლოდ მათ ბრალეულობას უფრო წვრილად შესაბამისი საგამოძიებო კომისია შეისწავლის და ვერდიქტი ამის შემდეგ გახდება ცნობილი...

ზვიად შათირიშვილი

**რედაქციისგან: როგორც ჩანს, გამგეობას, იურიდიული თვალსაზრისით, სერიოზული მუშაობა მართებს, საბოლოო გადაწყვეტილებების მიღებამდე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



რაგბი. ევროპის ერთა თასი

# ბორჯღალიანი კვართი, როგორც ჯაჭვის პერანგი




**12 აპრილი. კრასნოიარსკი**

**რუსეთი-საქართველო 12:18**

რუსეთი (15-9) კლუჩნიკოვი, კუზინი, გალინოვსკი (ტრიშინი 24), გრესევი (ბაბაევი 72), გვოზდოვსკი, კუშნარიოვი, შაკიროვი (მოტორინი 56); (1-8) ხროკინი (ბოტვინიკოვი 48), კორშუნოვი (მარჩენკო 48), ჩერნიშოვი (მატვეევი 41), ფედჩენკო, კულემინი, ოსტრიკოვი სბ 38, გარბუზოვი (გრაჩოვი 56), პანასენკო - *4ს (კუშნარიოვი)*

საქართველო (15-9) ბარკალაია, თოდუა (კვირიკაშვილი 79, მაისურაძე 80), კაჭარავა, გიგაური, ჩხიკვაძე, მალალურაძე (შკინინი 80), აბუსერიძე; (1-8) შველიძე სბ 74, ნატრიაშვილი (დადუნაშვილი 72) ქუბრიაშვილი, უჩავა, გორგოძე, ჩხაიძე სბ 38, ურუშაძე, ბასილაია (სუთიაშვილი 65) - *2ლ (ურუშაძე, კაჭარავა), გ, 2ს(ბარკალაია)*

მსაჯი: ფრანკ მასიელო (საფრანგეთი).

**თამაშის წინ საქართველოს ნაკრების კაპიტანმა ირაკლი აბუსერიძეს გუნდის ახალგაზრდა მორაგბეებისთვის ასე მიუმართავს: - თქვენ დღეს საქართველოს ეროვნული ნაკრების კვართი გაცვიათ, იცოდეთ, ეგ უბრალოდ კვართი არაა, ჯაჭვის პერანგია!**

რუსებმა ყველაფერი ილონეს რათა ბოლოს და ბოლოს საქართველოს ნაკრებზე გამარჯვება ღირსებოდათ. შეხვედრა ციმბირში, ყინვასა და თოვლში დანიშნეს, აბსოლუტურად ყველა უძლიერეს რუს მორეგბეს უხმეს, მოთამაშეებს გამარჯვების შემთხვევაში მათთვის არნახულ პრემიალურ თანხებს დაპირდნენ - მაგრამ, ერთ მუჭად შეკრულ, მობილიზებულ, ყოველთვის ბოლო ამოსუნთქვამდე მებრძოლ ქართველთა გუნდთან მაინც ვერაფერს გახდნენ.

საქართველოს ნაკრები კრასნოიარსკში რამდენიმე წამყვანი მოთამაშის გარეშე გაემგზავრა. იქ ჩასულებს, ტრავმის გამო **გიორგი შკინინიც** დააკლდათ. ციმბირიც, ციმბირულად ცივი და სუსხიანი დაგვხვდა, რასაც აკლიმატიზაციის ძალზედ რთული პროცესიც თან დაერთო.

შეხვედრა კრასნოიარსკში ნახევარი საათის დაგვიანებით დაიწყო. მოედანი მთლიანად თოვლს დაეფარა. IRB-ის წესების მიხედვით, მატჩი აუცილებლად უნდა გადადებულიყო. საქმე აქეთკენაც მიდიოდა, თუმცა ჩვენმა მორაგბეებმა სრულიად შეუსაბამო პირობებში თამაში არ იუარეს და რაგბის ქართველ ქომაგებს უდიდესი სიხარულიც მოუტანეს.

მატჩი საქართველოს ნაკრების უპირატესობით დაიწყო და უკვე მერვე წუთზე ბორჯღალოსნებმა მეტოქის ლელოში შეაღწიეს. რუსები მოედნის საკუთარ ნახევარზე რაკში თამაშისას დაჯარიმდნენ. აქედან კარში დარტყმაც შეიძლებოდა, მაგრამ **ლაშა მალალურაძემ** ბურთი კიდეზე გადაიტანა. მეტოქის ლელოდან 10 მეტრში დერეფანი უხეიროდ მოვაწოდეთ, მაგრამ მსაჯმა მოწინაარმდეგის მხრიდან წინ თამაში დააფიქსირა და ჩვენს სასარგებლოდ შერკინება დანიშნა. შერკინებიდან დაწყებული შეტევა, რამდენიმე დარტყმით გაგრძელდა. **ირაკლი აბუსერიძემ** იერიშში შუამარბებიც ჩართო. რაკი უკვე მოწინაარმდეგის კარის პირდაპირ წარმოიქმნა. იქიდან გამოტანილი ბურთით აბუსერიძემ მარჯვნივ შეუტია და მეტოქისთვის უეცრად ბურთი უკან მეორე ხაზელ **მამუკა გორგოძეს** შეუბრუნა. მის შესაჩერებლად კი ერთი რუსი საკმარისი არ აღმოჩნდა, მან რამდენიმე მოწინაარმდეგე ჩაითრია რაკში. ბურთი ძალიან სწრაფად გასუფთავდა, ფლანკერმა **რატი ურუშაძემ** აიტაცა და ლელო ძელებს შორის გაიტანა, რამაც **ოთარ ბარკალაიას** გარდასახვა გაუადვილა - 7:0.

თოვლიანი საფარის მიუხედავად თამაში საკმაოდ მაღალ ტემპში მიმდინარეობდა. საქართველოს ნაკრების უკანა ხაზი, დაცვაში თითქმის უშეცდომოდ ირჯებოდა და ფეხით თამაშშიც არ სცოდავდა. 10 წუთში ბორჯღალოსნები უფრო დაწინაურდნენ. ბარკალაიამ 40 მეტრიდან საჯარიმო ზუსტად დაარტყა – 10:0. მანამდე ასევე შორი მანძილიდან რუსების დამრტყმელმაც სცადა საჯარიმოდან ჩვენი კარის დალაშქვრა, მაგრამ უშედეგოდ.

რუსებმა საქართველოს ნაკრების ოცდაორმეტრიან ზონაში მხოლდ 23-ე წუთზელა შეაღწიეს და შედეგიანადაც. **კუშნარიოვმა** ამჯერად უფრო ხელსაყრელი მდგომარეობიდან ზუსტად დაარტყა. 3:10. ბორჯღალოსნებმა ამის შემდეგ, მალევე ერთი ლელო კიდევ გაიტანეს, რაც მარჯვენა ფრთაზე ნაკრების ახალბედა გარემარბის **ალექსანდრე თოდუას** მშვენიერ გარღვევას მოჰყვა. თოდუამ მოედნის კიდეზე 30 მეტრი ირბინა და რამდენიმე მეტოქეს გაუსხლტა. ლელოსთან ახლოს რუსებმა მაინც შეძლეს მისი შეცერება. რაკიდან ბურთი **გოდერძი შველიძემ** აილო და ლელოში შეაღწია. სამწუხაროდ, მატჩის არბიტრმა ეს ვერ დაინახა, გვერდითმა მსაჯმა კი, რომელიც რუსი იყო, ლელოს გატანა არ დაუდასტურა.

ტაიმის მიწურულს რუსეთის ნაკრებმა მაინც შეძლო ძალიან სახიფათო კომბინაციის გათამაშება. საკუთარი დერეფნის მოგების შემდეგ მათ ბურთი ხაზზე გაიტანეს და ხაზი შუაში გაგვიჭრეს. ბორჯღალოსნებმა მეტოქე ლელოდან ხუთ მეტრში შეაჩერეს. „დათვებმა" შერკინების დარტყმებით სცადეს ჩვენი დაცვის გარღვევა, თუმცა „ქართულ კედელს" ვერაფერი მოუხერხეს. არბიტრმა თამაში შეაჩერა და მოწინაალმდეგეს საჯარიმო დაუბრუნა. სწორედ ამ დროს ატყდა მუშტი კრივი. გუნდი-გუნდზე ჩხუბიც ქართველების გამარჯვებით დასრულდა. ათი წუთით დასასვენებლად მესამეხაზელები **ჩხაიძე** და **ოსტრიკოვი** გაემართნენ, კუშნარიოვმა კი საჯარიმოდან ისევ ზუსტად დაარტყა და ტაიმი 6:10 დასრულდა.

მეორე ნახევარი ისევ ქართველი მორაგბეების შეტევებით დიაწყო. 48-ე წუთზე ჩვენი მორკინალების შეტევა მოწინაარმდეგემ ლელოდან 15 მეტრში წესის დარღვევით შეაჩერეს. ეს იყო ერთადერთი საჯარიმო, რომელიც მატჩის არბიტრმა მეორე ტაიმში ჩვენი გუნდისთვის გაიმეტა. ბარკალაიამ ხელსაყრელი პოზიციიდან ზუსტად დაარტყა - 13:6.

ვითარება ნელნელა იძაბებოდა და აპოგეას მაშინ მიღწია, როცა ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შემცირდა. კუშნარიოვმა ჯერ 57-ე მერე კი 68-ე წუთებზე კიდევ ორი საჯარიმო გაიტანა - 12:13. მარცხის საფრთხე რეალური გახდა. ბორჯღალოსნებმა ბოლო ძალები მოიკრიბეს და თამაშის დამთავრებამდე რვა წუთით ადრე გამარჯვების მომტანი ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს. შეტევის მარჯვენა ფრთაზე მეტოქის ნახევრის ათმეტრიან ხაზთან დანიშნული შერკინებიდან იქვე მოკლე დარტყმებით შეუტიეს და ოცდაორმეტრიან ზონაში შეაღწიეს. **ირაკლი აბუსერიძემ** იქ წარმოქმნილი რაკიდან ბურთი მარცხნივ ხაზზე გადაიტანა სადაც მორიგი დარტყმა უკვე ხაზის შეტევაში ჩართულმა **მამუკა გორგოძემ** განახორციელა, გულივერამ კიდევ ხუთიოდ მეტრი მოიგო და რაც მთავარია, უხვად ჩაითრია რაკში მოწინაალმდეგის უკანახაზელები. აბუმ რაკიდან ბურთი კიდევ უფრო მარცხნივ, შუამარბ **დავით კაჭარავას** გაუტანა მან კი ერთი მეტოქე მოატყუა და ოციოდ მეტრი ირბინა. კაჭი ლელოში შეფრინდა, რასაც კიდევ ერთი შეხლეშემოხლა მოჰყვა. შედეგად კი არბიტრმა სინბინში ჩვენი პირველხაზელი **გოდერძი შველიძე** გაუშვა. ბარკალაიამ გარდასახვა ვერ გაიტანა - 18:12.

რიცხობრივ უმცირესობაში დარჩენილმა საქართველოს ნაკრებმა ინიციატივა ოდნავ დათმო. რუსები ბოლო, თავიანთთვის გადამწყვეტ შტურმზე გადავიდნენ, თუმცა მედგრად მებრძოლი ქართველების წინაალმდეგ ვერაფერს გახდნენ. ბორჯღალოსნებმა კიდევ ერთი, მორიგი გამარჯვება მოიპოვეს რუსეთის ნაკრებთან შეხვედრაში 18:12 და ერთა თასი 2001 წლის შემდეგ მეორედ მოიპოვეს!.

**გუშინ, საღამოს, ქართველ მორაგბეებს აეროპორტში ქომაგებმა ღირსეული დახვედრა მოუწყვეს. იქვე იყვნენ რაგბის კავშირისა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელები.**

**რატი ურუშაძე:** - ძალიან დავიღალეთ. ცალკე თამაშით, ცალკე მგზავრობით. ყველაფერი გავიღეთ ეს შეხვედრა რომ მოგვეგო. არც რუსები ზოგავდნენ თავს. მოგების სემთხვევაში სერიოზულ პრემიებს დაპირდნენ. ჩხუბის პროვოცირება მათ მოახდინეს. მთელი თამაშის განმავლობაში უჩუმრად გვიტყამდნენ მუჯლუგუნებს. ბოლოს და ბოლოს ველარ მოვითმინეთ და საკადრისი პასუხიც გავეცით. მატჩის შემდეგ კრასნოიარსკის ენისეის მწვრთნელი ვიაჩესლავ პერვუხინი მოვიდა და მითხრა, რას მიშვებით, გინდათ კოცონზე დამწვანო? საქმე იმაშია რომ ორივე ლელო ენისეელებმა მე და დავით კაჭარავამ გავიტანეთ.

**დავით კაჭარავა:** - ძალიან რთული შეხვედრა გვქონდა. რუსებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ მოეგოთ. თამაში რა რთულ პირობებშიც გვქონდა ალბათ ყველამ ნახეთ. ისეთი ყინვა იყო, მგონი თვითონ უფრო შეცივდათ. ჩვენი მწვრთნელი, ტიმ ლეინი უკანა ხაზელების თამაშით კმაყოფილია. განსაკუთრებით ჩვენი დაცვაში თამაში იყო მისთვის მოულოდნელი. თანაც რაც მთავარია, სწორედ რუსებთან ბრძოლაში დაინახა მან ჩვენი ხასიათი.

**ტიმ ლეინი, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:** - თამაში ძალიან ცუდ პირობებში მოგვიწია. შეგვეძლო უარი გვეთქვა ასპარეზობაზე, მაგრამ არ ღირდა და სწორადაც მოვიქეცით, რომ ვითამაშეთ. განსაკუთრებით მინდა გამოვყო უკანახაზელები - ოთარ ბარკალაიამ უშეცდომოდ ითამაშა, აღმოჩენა იყო კოჭოია (ალექსანდრე თოდუა-**ბ.ჯ.**) ბრწყინვალე იყო დავით კაჭარავა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ რუსებსაც კარგი უკანახაზი ჰყავთ. ჩვენი გუნდის წარმატება დაცვაში უნაკლო თამაშმა განაპირობა. ცხადია, იყო შეცდომებიც, მაგრამ მათი უმრავლესობა ვფიქრობ, ცუდი სათამაშო პირობებით იყო განპირობებული.

**დავით ნამგალაური**, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე: - ძალიან გახარებული ვართ. ურთულესი მატჩი იყო. რუსებმა სპეციალურად წაგვიყვანეს ციმბირში სათამაშოდ ჩვენი გუნდისთვის პრობლემები რომ შეექმნათ. არადა, ნორმალურ ვითარებაში ალბათ მათ რეალურ ძალასაც უფრო ვნახავდით. ფაქტია, რომ პროგრესი აქვთ, თუმცა არც ჩვენ ვდგავართ ერთ ადგილზე და არც უნდა გავჩერდეთ. კარგია, რომ შანსს არ ვუშვებთ და რუსეთს შინ თუ გარეთ მუდამ ვუგებთ. პრეზიდენტის მიერ გაცხადებული რაგბის განვითარების პროგრამა, მალე ამოქმედდება. ამ მხრივ ყოველდღიური მუშაობა მიმდინარეობს. მალე გადაწყდება „მზიურის" ტერიტორიაზე არსებული რაგბის კავშირის კუთვნილი მიწის ნაკვეთის საკითხი, რომლის გასხვისების შემდეგ თბილისში სამი მოედანი გაკეთდება. რეგიონში კი მიმდინარეობს რვა მოედნის პროექტის დამუსავება. უფრო სწორად, ეს იქნება სარაგბო კომპლექსი, ორი მოედნით, პატარა ინფრასტრუქტურითა და ორიათასამდე მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნებით. კომპანია, რომელიც ამ პროექტს განახორციელებს უახლოეს ორ კვირაში გაცხადდება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 9 | 8 | 0 | 1 | +176 | 16 |
| 2.რუსეთი | 9 | 7 | 0 | 2 | +127 | 14 |
| 3.რუმინეთი | 10 | 6 | 0 | 4 | +125 | 12 |
| 4.პორტუგალია | 9 | 3 | 0 | 6 | -8 | 6 |
| 5.ესპანეთი | 9 | 3 | 0 | 6 | -9 | 6 |
| 6.ჩეხეთი | 9 | 0 | 0 | 9 | -401 | 0 |

**19 აპრილი**

ჩეხეთი-რუსეთი

**26 აპრილი**

საქართველო-ესპანეთი

**10 მაისი**

ესპანეთი-პორტუგალია



ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. XV ტური

# ხალხო, მოდით კალათბურთზე

**13 აპრილი, სპორტის სასახლე**

**დინამო-მაკაბი 124:90**

31:20, 33:17, 26:20, 34:33

დინამო: გულისაბედაშვილი (5 ქ. 3 პ), ნანიტაშვილი (4 ქ. 11 პ), კუჭავა (4 ქ), სიგუა (4 ქ), წერეთელი (15 ქ. 5 მ. 4 პ), მაისურაძე (25 ქ. 7 მ), ათანელიშვილი (30 ქ. 10 მ), ახალკაცი (13 ქ. 5 მ), ფაიქრიძე (10 ქ), სანიკიძე (14 ქ. 8 მ)

მაკაბი: ი. ბერიშვილი (3 ქ), ახმედიანი (11 ქ), ს. შერმადინი (25 ქ. 16 მ. 2 დ), იოსელიანი (11 ქ. 3 პ), პირველაშვილი (10 ქ. 9 პ. 7 მ), კორკოტაძე (13 ქ), კოლუაშვილი (11 ქ. 5 მ), ჯანგველაძე (6 ქ), გაგლოშვილი, არონია

მსაჯები: ხ. გაბედავა, დ. არეშიძე

**ავიამშენი-ენერჯი 77:76**

16:27, 24:14, 18:17, 19:18

ავიამშენი: ბერაია (9 ქ), ნიკოლაძე (14 ქ. 3 პ), კვიმსაძე (4 ქ. 6 პ), ტულუში (11 ქ. 7 მ, 5 პ), ნინიაშვილი (1 ქ. 5 მ), მათიაშვილი (15 ქ. 11 მ. 4 პ. 2 დ), მინაშვილი (23 ქ. 8 მ)

ენერჯი: გამყრელიძე (5 ქ. 11 პ), ბაბიაშვილი (15 ქ), სტეფანოვი (2 ქ), დიდია (2 ქ), ლეჟავა (12 ქ. 5 ჩ. 3 პ), ცეკვავა, გოგობერიშვილი (6 ქ), ტუჯანი (15 ქ), ჭოჭუა (13 ქ), ჩიტაშვილი (6 ქ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი

**ვითა-თსუ 99:97**

26:15, 26:27, 14:27, 33:28

ვითა: ნ. ნოზაძე (1 ქტ), ბეჟანიშვილი (19 ქ. 9 მ. 7 პ. 2 დ), მ. ბერიშვილი (25 ქ. 7 მ. 4 პ), მარხვაშვილი (9 ქ. 5 პ), მარკოიშვილი (7 ქ), ბერძენიშვილი (2 ქ), ნივწივაძე (11 ქ. 4 პ), გვიმრაძე (10 ქ), ლ. ნოზაძე (15 ქ. 2 დ)

თსუ: არნივიძე (8 ქ. 4 პ), ფანჩულიძე (21 ქ. 5 პ. 3 ჩ), დ. ბერიშვილი (16 ქ. 7 მ), ბარბაქაძე (11 ქ. 12 მ. 4 პ), კოხრეიძე (3 ქ. 4 პ), ყველაშვილი (3 ქ), კეიდია (28 ქ. 6 მ), ტყეშელაშვილი (3 ქ. 8 მ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ენერჯი | 25 | 20 | 5 | 45 |
| 2. ავია | 25 | 15 | 10 | 40 |
| 3. თსუ | 25 | 13 | 12 | 38 |
| 4. ვითა | 25 | 13 | 12 | 38 |
| 5. დინამო | 25 | 11 | 14 | 35 |
| 6. მაკაბი | 25 | 4 | 21 | 29 |

25-ე ტურში სადღეისოდ საქართველოს ორი საუკეთესო გუნდი დაუპირისპირდა ერთმანეთს, ვიხილეთ სანახაობრივი თამაში, ბოლო წამებზე გადაწყვეტილი მატჩის ბედი, მაგრამ ვერ ვიხილეთ მთავარი - გულშემატკივარი.

სპორტის სასახლეში ტურის ცენტრალურ შეხვედრაზე 300 ქომაგიც არ შეკრებილა, მომდევნო, არანაკლებ საინტერესო თამაშზე დამსწრეთა რიცხვი განახევრდა. მოახლოვებულ პლეიოფებამდე სიტუაცია უნდა გამოვასწოროთ, რადგან ნახევარფინალის მონაწილენი ნამდვილად ცოდონი იქნებიან ცარიელი ტრიბუნების წინაშე თამაშისთვის.

ახლა ცენტრალურ შეხვედრას დავუბრუნდეთ. რუსთაველებმა პირველი მეოთხედი მაღალ ტემპში დაიწყეს და მათი შეჩერება "ავიატორებს" პერსონალური დაცვით ძალიან გაუჭირდათ. "ენერჯი" მესამე წუთისთვის 10:3-ს იგებდა. "ავია" ზონურ დაცვაზე გადავიდა და თამაში მალე დაალაგა, ამ საქმეში დიდი წვლილი **კოტე ტულუშმა** შეიტანა, რომელმაც ერთმანეთს ორი სამქულიანი მიაყოლა. მეოთხედის ბოლოს "ენერჯიმ" კვლავ იფეთქა: ფარქვეშიდან **ტუჯანმა**, ხოლო პერიმეტრიდან **ჭოჭუა-ლეჟავას** დუეტმა ზუსტი ტყორცნებით ათწუთეული რუსთაველებს მოაგებინეს - 27:16.

მეორე პერიოდში **ვახტანგ მინაშვილმა** ბენეფისი მოიწყო. მან ერთმანეთის მიყოლებით 4 ორქულიანი ჩააგდო, ზედ საჯარიმოც წაუმატა და სხვაობა 5 ქულამდე შეამცირა (25:30). "ფობის" (მინაშვილის მეტსახელი) შეჩერება "ენერჯის" მწვრთნელმა **დავით უსტიაშვილმა** სერბ **იოვან სტეფანოვს** დაავალა. შეცვლაზე შესულმა ლეგიონერმა გაუმართლა, მინაშვილი კი შეაჩერა, მაგრამ ფოლები მზესუმზირასავით წამოკრიფა და მეოთხე ათწუთეულის მეორე წუთზე 5 ჯარიმის გამო მოედნის დატოვება მოუხდა. ზუსტად 5 წუთში **სტეფნაოვის** ბედი "ენერჯის" მეორე უცხოელმა მეფარემ **ჟულივეტ ტუჯანმა** გაიზიარა და **მინაშვილ-მათიაშვილიანმა** "ავიამ" ფარქვეშ დიდი უპირატესობა მოიპოვა. მაგრამ ვიდრე ბოლო წუთებს შევეხებოდეთ, მოგახსენებთ, რომ მინაშვილს ორქულიანით "ავია" დიდ შესვენებაზე ერთქულიანი ჩამორჩენით გავიდა - 40:41.

მესამე პერიოდში ხელი გამოილო **ზვიად ბაბიაშვილმა**. შეტევაში სწორედ მისი სიზუსტის წყალობით მოახერხეს რუსთაველებმა ათამაშებულ მასპინძლებთან თანაბრად ბრძოლა.

მივადექით გადამწყვეტ მეოთხედს, რომლის დაწყების წინ ტაბლოზე საყაიმო ანგარიში ეწერა - 58:58. დავუბრუნდეთ ჟულივეტ ტუჯანის მეხუთე ფოლის ამბავს. კამერუნელის მოედნიდან გასვლის შემდეგ "ავიას" ცენტრმა მათიაშვილმა ორი საჯარიმო გამოიყენა და თანაგუნდელები 71:68 დააწინაურა. თანაბარი ბრძოლა ბოლო წამებამდე გაგრძელდა. სირენამდე 1.40 წუთით ადრე რუსთაველმა **რეზო დიდიამ** ორქულიანი გამოიყენა (76:73 - "ენერჯის" სასარგებლოდ).

1.20 წუთით ადრე მათიაშვილმა სხვაობა ქულამდე შეამცირა - 76:75. დარჩენილ დროში ერთადერთი ორქულიანი ჩავარდა - სირენამდე 2 წამი რჩებოდა, როცა **გიორგი ნიკოლაძემ** ბურთი მშვიდად სტყორცნა და "ავიას" "ენერჯი" დაამარცხებინა - 77:76.

მატჩის სნაიპერი, **ვახტანგ მინაშვილი ტურის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა.** მის ანგარიშზე 23 ქულა, 8 მოხსნა და თითო ჩაჭრა-დაფარებაა. ფობიმ 13-დან 10 ორქულიანი და 3 საჯარიმო გამოიყენა.

"ვითა"-თსუ-ს დაპირისპირება არანაკლებ საინტერესო გამოდგა. შეხვედრის ბედიც ბოლო წამებზე გადაწყდა. **შიო ხეცურიანის** გარეშე მოთამაშე სტუდენტებმა "ვითას" საწყის 20 წუთში ვერაფერი დააკლეს. მესამე პერიოდში კი თამაში რადიკალურად შეცვალეს, ტემპს უმატეს და ბოლო რაუნდის წინ სულაც 69:66 დაწინაურდნენ.

მეოთხე ათწუთეულში ანგარიში აიწონა-დაიწონას პრინციპით მერყეობდა. "ვითელთა" ჯარიმებსა და ორქულიანებს თსუ-ელები სამიანებით პასუხობდნენ (**მიშა ფანჩულიძემ** პერიმეტრიდან 3 ტყორცნა გამოიყენა).

მატჩის დასრულებას 30 წამი აკლდა, როცა სტუდენტებმა რამდენიმეფაზიანი შეტევა წამოიწყეს 16 წამით ადრე შალვა კოხრეიძის სამქულიანით ანგარიში გაათანაბრეს - 97:97.

დარჩენილ 16 წამში ბურთი მიშა ბერიშვილმა ხელთ იგდო, ბევრი აკაკუნა და საფინალო სირენას 2 წამი უკლდა, როცა "ვითას" 99:97 გაამარჯვებინა.

"დინამო"-"მაკაბის" მატჩში მწვრთნელებმა რეზერვისტებს მისცეს თავის გამოჩენის საშუალება. საფინალო ანგარიშს ოქმშიც წაიკითხავდით, აქ კი სამი კალათბურთელის მონაგარზე შევჩერდებით. დინამოელმა **რეზო ათანელიშვილმა** კარიერის საუკეთესო მატჩი ჩაატარა - 30 ქულა (9-დან 5 სამქულიანი), 10 მოხსნა, 1 პასი და 2 ჩაჭრა მიითვალა. 25 ქულას 16 მოხსნა შეაწება "მაკაბის" მეფარემ **სოსო შერმადინმა**. მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით კი ერთ-ერთი საუკეთესო **ვიქტორ სანიკიძე** იყო. მან 13 წუთში 14 ქულა, 8 მოხსნა და 2-2 პასი-ჩაჭრა გაიფორმა.

**ვაჟა სიმონიშვილი**




ავია-ენერჯი. ზვიად ბაბიაშვილის შეტევა

ნუგზარ სუარიძის ფოტო

ქართველი NBA-ში

# ფაჩულია თანაგუნდელს ეჩხუბა




ზაზა ნიუ იორკთან

**ზაზა ფაჩულიას "ატლანტამ" შაბათს გამთენიისას ნიუ იორკში ადგილობრივი "ნიქსი" 116:104 დაამარცხა და პლეი ოფამდე ერთადერთი გამარჯვებალა აშორებს. ვიდრე "ჰოქსის" შანსებსა და უქმეებზე გამართულ ორ მატჩზე ვისაუბრებთ, ზაზა ფაჩულიაზე უნდა მოგახსენოთ.**

**უფრო სწორად, ქართველი ცენტრის შესახებ ESPN-ჟურნალისტი კრის ბასარდი მოგვითხრობს. სტატიას, რომელიც "ნიუ იორკთან" მატჩის არასაკალათბურთო მოვლენებს ეძღვნება "ჰოქსელთა მუშტების ფრიალი" ჰქვია.**

- 13 წელია NBA-ს ვაშუქებ, მაგრამ თანაგუნდელთა ასეთი ჩხუბი არსად მინახავს. **ზაზა ფაჩულიამ და სოლომონ ჯონსმა** ხელჩართული ბრძოლა მედისონ სკვერ გარდენში "ნიქსთან" მატჩისას გამართეს. საბედნიეროდ, არც ერთ მათგანს არ აღმოაჩნდა მოკრივის ნიჭი და ამიტომ ბრძოლამ ტრავმების გარეშე ჩაიარა.

ყველაფერი ასე დაიწყო: "ატლანტამ" და "ნიუ იორკმა" ბურთის სროლაზე ვარჯიში რომ დაასრულეს, კალათბურთელებმა ფორმების გამოსაცვლელად სათადარიგოთა სკამებს მიაშურეს. უეცრად "ჰოქსის" მხრიდან ხმაური შემომესმა: ეი, რა ხდება?! რა ხდებოდა, იოლი დასანახი იყო, რადგან ორი ტანმაღალი ატლანტელი ჩხუბობდა - ზაზა და სოლომონი.

თანაგუნდელები ჯორჯიელებმა დროულად გააშველეს. **მერვინ უილიამსმა** სოლომონ ჯონსი შებოჭა, ხოლო **ჯოშ სმიტმა** - ზაზა ფაჩულია. ქართველი ძალიან გაბრაზებული ჩანდა და მისი დაწყნარება იოლი არ აღმოჩნდა. რაც შეეხება ჯონსს, უილიამსის ხელში არც იგი ცხრებოდა - მოვიდეს, მოუშვით ჩემამდეო!

ჯოშ სმიტმა გაიხსენა, რომ გახურებისას ზაზამ სოლომონს შეუძახა, მაგრამ განევ-გამოწევის საბაბი ნამდვილად არ არსებობდა. ერთ-ერთმა ქომაგმა იხუმრა, რომ "ნიუ იორკის" უარყოფითი ენერგია "მედისონ სკვერ გარდენის" სტუმრებსაც გადაედოთო..

გაცხარებული ფაჩულია, რომელიც ისევ ჯონსზე იწევდა, საბოლოოდ მწვრთნელმა დააშოშმინა - **მაიკ ვუდსონმა** იგი გასახდელში გაუშვა: "Z, ჩაიცვი და გადი მოედნიდან!"

სიტუაციის ჩაწყნარების შემდეგ მცირე კომენტარი გააკეთა "ატლანტას" მთავარმა მწვრთნელმა ვუდსონმა: *"ამ ინციდენტს გუნდში მივხედავთ, მაგრამ წინასწარ გეტყვით, რომ არც ერთ კალათბურთელს სერიოზული სანქცია არ ემუქრება."*

თანაგუნდელთა საქციელი დინჯად შეაფასა "ჰოქსის" გამოცდილმა ახალწვეულმა **მაიკ ბიბიმ**: *"კალათბურთელის კარიერა ასეთია - ხშირად გვიწევს გუნდიდან გუნდში გადასვლა. შესაბამისად, ყოველ ახალ კლუბში ისეთი მოთამაშეები გვხვდებიან, ვისაც ხელმძღვანელობა ირჩევს. 8 თვის განმავლობაში ერთ ოჯახად ვცხოვრობთ და გასაკვირი არაფერია, არც ძმებს შორის კინკლაობა..."*

საკალათბურთო ასოციაციაში თანაგუნდელებს შორის ჩხუბი ხშირად ხდება, მაგრამ როგორც წესი, ყველა შემთხვევა შიგნით ირჩევა და მასმედიის სამსჯავროზე იშვიათად გამოდის.

**ჩვენი მხრივ, მკითხველს შევახსენებთ, რომ ზაზამ თანაგუნდელთან შარშან გაზაფხულზეც იჩხუბა. მაშინ მან ჯოშ სმიტი გასახდელის კედელზე ააყუდა. იმ ინციდენტს უფროსობის მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია. უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართველი ცენტრი ამჯერადაც დაუსჯელი დარჩება.**

ახლა - თამაშზე. "ნიუ იორკთან" მან მხოლოდ 6 წუთი ითამაშა და 2-2 ქულა-მოხსნა-ფოლი ჩაიწერა.

მეორე დღეს "ატლანტამ" აღმოსავლეთ კონფერენციის ლიდერს "ბოსტონს" უმასპინძლა და ვერაფერი დააკლო - 89:99. სხვათა შორის, პლეიოფში გასვლის შემთხვევაში "ჰოქსი" სწორედ გარნეტისა და პირსის "ბოსტონს" დაუპირისპირდება.

ფაჩულიამ ამჯერად 14 წუთი ითამაშა, მაგრამ მონაგარში მაინც ორიანები აეხვლანჯა - 2-2 ქულა-მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 შეცდომა, 3 ფოლი.

ბოლოს "ჰოქსის" სატურნირო მდგომარეობას გავეცნოთ. მას 37 მოგების წილ 43 წაგება აქვს და აღმოსავლეთ კონფერენციაში მერვე ადგილზეა (პლეიოფში სწორედ 8 გუნდი გადის). მეცხრე ადგილზეა "ინდიანა" - 35 მოგება, 45 მარცხი. რეგულარული ჩემპიონატის ფინალამდე ორივე გუნდს ორ-ორი მატჩი აშორებს. "ატლანტა" 15 აპრილს "ორლანდოს" მასპინძლობს და მეორე დღეს "მაიამის" ესტუმრება. ხოლო "ინდიანას" 14 აპრილს ვაშინგტონში ადგილობრივი "ვიზარდსი" ელის, ხოლო 16-ში "ნიუ იორკს" მიიღებს. ჯორჯიელთა ერთი მოგება, ან "ინდიანას" ერთი წაგება მერვეადგილოსანს საბოლოოდ გამოარკვევს - ეს "ატლანტა" იქნება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# უცხოური ფეხბურთი

## ბირმინგემი-ევერტონი 1:1

**ბირმინგემი:** მაიკ ტეილორი, რიჯველი, დევიდ მერფი, კელი, ჯაიდი, მაკშეფრი, ნაფტი, ლარსონი (24. ჯერომი), მუამბა, მაკფადენი (76. სარატე), ფორსელი (46. ოკონორი).

**ევერტონი:** ჰოვარდი, ლესკოტი, ჰიბერტი, ფილ ნევილი, ბაინესი, ჟაგიელკა, კარსლი, პიენაარი (64. ანიჩებე), მანუელ ფერნანდესი, ენდი ჯონსონი, იაკუბუ (89. გრავესენი).

**გოლები:** 0:1 ლესკოტი (78), 1:1 სარატე (83).

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 14(7)-13(6); **ჯარიმა:** 9-6; **კუთხური:** 11-1; **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 25 923

## ბოლტონი-ვესტ ჰემი 1:0

**ბოლტონი:** ალ ჰაბსი, სამუელი, ენდრიუ ობრაიენი, სტეინსონი, კაჰილი, მეტიუ ტეილორი, ნოლანი, მაკენი, კამპო, კევინ დევისი, დიუფი.

**ვესტ ჰემი:** გრინი, აპსონი, მაკარტნი, ანტონ ფერდინანდი (4. პანტსილი), სპექტორი, მულინსი, პარკერი, კოლისონი (50. კარლტონ კოული), ეშტონი, ზამორა (66. სიერსი), ბოა მორტე.

**გოლები:** 1:0 კევინ დევისი (47).

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 11(8)-12(7); **ჯარიმა:** 12-11; **კუთხური:** 12-5; **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 23 043

## დერბი-ასტონ ვილა 0:6

**დერბი:** ქეროლი, მიერსი, მური (54. ლიკოკი), ტოდი (54. ერნშო), სტაბსი, სევიჯი, ლიუისი, გალი, ჯოუნსი (59. მაკეილი), მილერი, ემანუელ ვილია.

**ვილა:** კარსონი, მელბერგი, ნაიტი, ლაურსენი, ბუმა, სტილიან პეტროვი, ბერი (80. სალიფუ), რეოკერი, ქერიუ (73. ჰერვუდი), იანგი (80. ბერგერი), აგბონლაჰორი.

**გოლები:** 0:1 იანგი (25), 0:2 ქერიუ (26), 0:3 სტილიან პეტროვი (36), 0:4 ბერი (58), 0:5 აგბონლაჰორი (76), 0:6 ჰერვუდი (85).

**გაფრთხილება:** 0-0; **დარტყმა:** 8(5)-16(12); **ჯარიმა:** 15-15; **კუთხური:** 3-2; **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 33 036

## რედინგი-ფულჰემი 0:2

**რედინგი:** ჰანემანი, შორი, ინგიმარსონი, როსენორი, ბიკეი, ჰარპერი, ჰანტი, ოსტერი (60. ლიტლი), მატეიოვსკი (77. კალიფა სისე), დოილი, ლონგი (60. კიტსონი).

**ფულჰემი:** კელერი, კონჩესკი, ჰიუზი, სტალტერი, ჰანგელანდი, ბულარდი, დენი მერფი (90. ანდრეასენი), საიმონ დევისი, დემპსი (85. ბოკანეგრა), ჰილი (83. ნევლანდი), მაკბრაიდი.

**გოლები:** 0:1 მაკბრაიდი (24), 0:2 ნევლანდი (90).

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 4(0)-16(8); **ჯარიმა:** 11-5; **კუთხური:** 4-7; **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 24 112

## სანდერლენდი-მანჩ. სიტი 1:2

**სანდერლენდი:** გორდონი, ნოსვორთი, კოლინსი, ბერდსლი, ევანსი, რიდი, უაითჰედი, ჩოპრა (79. ოდონოვანი), რიჩარდსონი (46. ლიდბიტერი), დერილ მერფი (62. ედვარდსი), ჯოუნსი.

**სიტი:** ჰარტი, რიჩარდ დანი, ბოლი, სუნი, კორლუკა, მარტინ პეტროვი, ირლანდი (58. სტარიჯი/83. ვასელი), ელანო (89. ჰამანი), მაიკლ ჯონსონი, ჟელსონი, ბენჯანი.

**გოლები:** 0:1 ელანო (79. პენ), 1:1 უაითჰედი (82), 1:2 ვასელი (87).

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 12(7)-7(5); **ჯარიმა:** 13-12; **კუთხური:** 6-2; **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 46 797

## ტოტენჰემი-მიდლსბრო 1:1

**ტოტენჰემი:** ჩერნი, ვუდგეიტი, დოსონი, შიმბონდა (70. ჟილბერტო), ჰატონი, ჯენასი, მალბრანკი (60. ჰადლსტონი), ზოკორა, ლენონი (75. ბარენ ბენტი), რობი კინი, ბერბატოვი.

**მიდლსბრო:** შვარცერი, იანგი, პოგატეცი, ვიტერი, გრაუნდსი (64. ადამ ჯონსონი), ონილი (74. თუნჯაი), არკა (67. როშემბაკი), ბოატენგი, დაუნინგი, ალიადიერი, აფონსო ალვეში.

**გოლები:** 1:0 გრაუნდსი (27-საკ. კარში), 1:1 დაუნინგი (69).

**გაფრთხილება:** 0-3; **დარტყმა:** 12(7)-13(7); **ჯარიმა:** 6-19; **კუთხური:** 2-7; **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 36 092

## პორტსმუთი-ნიუკასლი 0:0

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, კემპბელი, პრეიდარსონი, დესტენი, გლენ ჯონსონი, დიოპი, შონ დევისი, მუნტარი, კრანჩარი, დეფო, კანუ (75. ნაჯენტი).

